# სახალხო გაზეთი

№ 758 კვირა, 25 ნოემბერი 1912 წ. № 758

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სიავერო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მოკლე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



პაპიროსები „გალლეია“ 25 ც.—15 კ. 10 ც.—6 კ.

ამხ. „კომეტა“ ქ. ტფილისი. 1574


## ამ ნომერში ექვსი გვერდია.

### კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**


**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


ხვალ, **კვირას, 25 დეკემბერს**, გარდაცვალების წლის თავზე კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებული

## ნიკოლოზ ლუკას ძის ბაქრაძისა.

რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **ნინო რომანის ასული ბაქრაძისა შვილებით ქეთოთი და გოგიათი.** წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი—12 საათზე. 821


**ტელეფ. № 795.** **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 795.**

**დ ი ლ ი ს წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა**

კვირას, 25 ნოემბერს, 1912 წ. ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **აკაკი წერეთლის** ისტორიული პიესა

### პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი

დრამა 5 მოქ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი აბდუშელი, ალექსიძე, გუნი, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, ჭიჭინაძე, საროული, შალიკაშვილი. **დასაწყისი დილის 12 საათზე.**

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

**ანონსი**: ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება: I. „ბედოვლათი“ და II. „დედის ერთა“.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია. 1578

**ა. ნ. მეზუროვის დრამატიული თეატრი**

ყოფილი არაქსიანისა, კონსტანტინოვისა და არხანგელის ქუჩის კუთხე.

**კვირას, 25 ნოემბერს,**

**რუსულ დრამის არტისტთა** ამხანაგობის მიერ წარმოდგ. იქნება პირველად ცნობილი პიესა **მაღაროს მუშების ცხოვრებიდან,** რომელთაც არ უნახავთ მზე და მთელ ცხოვრებას დედა-მიწის ქვეშ ატარებენ, იქ აუტანელი შრომით შოულობენ ლუკმა-პურს; სცხოვრობენ მაღაროების მძიმე და დახშულ ჰაერზე:

### კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ა.

დრამა 4 მოქ. სამუროვისა.

1 მოქმედ. **მუშების კრება.** 2 მოქმედ. **მიწის მთხრელი ქალი ოქროს გალიაში.** 3 მოქმედ. **უეჭველ სიკვდილზე.** 4 მოქ. **მაღაროს აფეთქება.**

ამ პიესისათვის არის დახატული ახალი დეკორაციები, 1 მაღაროს შინაგანი მხარე, 2) მაღაროს ზოსახლეთა სურათი. დამზადებულია სპეციალური კოსტიუმები. უკანასკნელ მოქმედების დროს სრული ილიუზია, შესაზარავი სურათია **მაღაროს აფეთქება.** კედლები მხატვრულად გადმოიქცევა. ✦ მონაწილეობს მთელი დასი. ✦ ანტრაქტების დროს დაუკრავს ორკესტრი **სამხედრო მუსიკა. დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი 10—60 კაპ. 824

## „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ სტუმართა საყურადღებოდ, რომ

**1913 წ. საწევრო ბილეთების განახლების ვადა**

**განისაზღვრება 20 ქრისტეშობისთვემდე** 1912 წ.

ბილეთები მიეცემა „ახალი კლუბის“ კანტორიდან ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღ. 2 ს.-დე და საღ. 9 ს.-დან შუაღამის 12 ს.-დე. 1661

ქ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი

ორშაბათს, 26 ნოემბერს 1912 წ.

### ნ. ს. გოცირიძის ბენეფისი.

ქართ. სახ. წარმ. მმართვ. წრის მიერ, მსახ. **ქ. ელ. ჩერქეზიშვილისა** და **ბ. ვ. გამყრელიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნებიან:

1. „**მსხვერპლი**“ დრ. ი. გედევანიშვილისა მხოლოდ 1 მოქ.
2. **ტაინი სოვეტნიკის „სიზმარი“** ბუფონადა 1 მოქ. პოტაპენკოსი თარ. კ. ხახანაშვილისა.
3. „**ხ ა ნ უ მ ა**“ კომ. ა. ცაგარლისა მხოლოდ 2 და 4 მოქ.

მონაწილეობას მიიღებს „წრის“ სც. მოყ. მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ა ნ ო ნ ს ი: 29 ნოემბერს სახალხო კონცერტი **კ. ფოცხვერაშვილისა.** 1499.

**ტელეფ. № 795.** **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 795.**

**ხუთშაბათს, 29 ნოემბერს,**

### ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ

ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენ. იქნება:

**ვასილ ალ. აბაშიძის** მონაწილეობით

პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა **ბედოვლათი,** პიესა 4 მოქ. დ. ნახუცრიშვილისა.

**მძიმე როლს შეასრულებს ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა.**

2) **დ ე დ ი ს ე რ თ ა,** მხიარული ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი,

**კნ. რიფსიმეს** როლს შეასრულებს **ქ ნი ელ. ჩერქეზიშვილისა.**

მონაწილეობენ: ქ-ნნი: აბაშიძე, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი; აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, საროული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

**დასაწყისი საღ. 8 საათზე.** ადგილ. ფასი საბენეფისოა.

**ანონსი:** კვირას, 2 დეკემბ. წარ. იქნება 1. „სიმახინჯე“, დრ. შიუკაშვილისა; 2 „უბედური დღე“, მხიარ. ვოდ. ვ. ბალანჩივაძისა.

1578 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

ქართული **ავლაბრის სახალხო თეატრი** წარმოდგენა № 15.

კვირას, 25 გიორგობისთვეს, 1912 წ.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

### — ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი —

ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, თარგმანი ხ. ავალიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ. დადვაძისა, ბ.ბ. **ივანიძე, შანშიაშვილი,** სალაყაია, სულთანიშვილი, ჯიბლაძე, თავდგირიძე, კილოსანიძე, კულულაშვილი, გოძიევი, ნინოშვილი, მაისურაძე, მეფარიშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** **ადგილების ფასები 4 კაპ. 50 კ.**

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ. ბეთანიაშვილის ხელმძღვანელობით.

მორიგი გამგე **თ. ნასიძე.** 1484. რეჟისორი **ი. ივანიძე.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მუშტაიდის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მრთლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღლაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგ. გინეკოლ. სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და ბავშვ. სნეულებ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულბკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½<br>**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მელავათიანი საფასურით. წ. 1010.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა.** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ**

**შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხ.). ტელეფ. 7—92.** 777

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

## „ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე.

**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ო რ ი გ ა მ ო ც ე მ ა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს.

ხელის მოწერა მიიღება „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტ. 8, და აგენტებთან. 1591

**ქარხნის** **მარკა**

## კონიაკი და ლიკორი

## ს. ს. შამრიარსკისა

**ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166.** 1570




1553

**შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლ ე ქ ს ი და ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფ ა ს ი 8 მ ა ნ ე თ ი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** ✦ **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** ✦ **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**

**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** 1153

✦ გამოსულია და იყიდება ✦

## ნ. შიუკაშვილის

პიესა „**მემონბრობა**“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

## გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

### საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ... ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. 1½ ს.

ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ და პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ზესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ ბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით. 1018

### ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ № 20. წ. 1022

### სამტრედიაში ექიმი ე. ქ. აბულაძე

ჩამოვიდა და იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე. აგრეთვე სწამლობს 606-ით. 1576

### ექიმი ს. ი. ბძელიშვილი

იღებს ავადმყოფებს შინაგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დ ი დ უ ბ ე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

### ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მთაწმინდის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

### ექიმი ი. ე. ჯაში

განაგრძობს ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ქლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6 ტელეფონი 1107. 791

### ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

### ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

### ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1040

### ექიმი ი. კ. აბაკელია

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. ელისაბედის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

### ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

### ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

### ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა


## ტფილისი, 25 ნოემბერი

**ახალი კრიზისის მოლოდინში.**

იმ დროს, როდესაც ოსმალეთისა და ბალკანეთის სლავიანურ სახელმწიფოთა კოალიციის ომი თითქოს უკანასკნელ წერტილამდე მიაღწია, პოლიტიკურ ჰორიზონტზე კვლავ გამოჩნდა ნიშანი ახალის კრიზისისა. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ბალკანეთის სახელმწიფოთა გამარჯვებამ ოიოდენადმე დააზარალა ავსტრია, რომელიც ყოველთვის ისე უყურებდა ბალკანეთს, როგორც თავის ლუკმას. ომმა იმედები გაუქარწყლა. ავსტრიის მადა-გაღვიძებულ დიპლომატიას ყელში გაეჩხირა სლავიანთა კავშირი და მოსვენება დაუკარგა. ამით უნდა აიხსნას ის ევროპიული კონცერტი, რომელიც ერთბაშად ასტყდა ბალკანეთის საქმეების გამო. მთავარი დირიჟორის ჯოხი, როგორც თან და თან მჟღავნდება, გერმანიას უჭირავს ხელში.

ამ ახალი კონფლიქტისა ისე ეშინოდა ყველას, რომ შეთანხმების იმედი უნდა გვქონოდა. მართლაც, დავა ავსტრიასა და სერბიას შორის მარტო ამ ორ სახელმწიფოს დავად არ დარჩებოდა. მოსალოდნელი იყო უთანხმოების გაძლიერება რუსეთსა და ავსტრიის შორის. ეს კი ისეთი რამ იქნებოდა, რასაც ადვილად შეეძლო მთელი ევროპის ომი გამოეწვია. აჩრდილი ამ საერთაშორისო ომისა მთელი თავისი საშინელებით აღიმართა ევროპის დიპლომატიის წინაშე და ცოტა არ იყოს ჩააფიქრა. სწორედ ამ შავმა აჩრდილმა აიძულა დაინტერესებულ სახელმწიფოთა დიპლომატია. კვლავ აღიძრა საკითხი კონფერენციის შესახებ, რომელსაც მშვიდობიანის საშუალებით უნდა აღეძრა სადაო საკითხები. ასეთს მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც რეიხსტაგში გერმანიის კანცლერის სიტყვა ისმა. როგორც რუსულმა გაზეთებმა, ისე საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კანცლერის შემდეგს სიტყვებს: „თუ აღმოჩნდა ძნელად გადასაწყვეტი უთანხმოებანი, გერმანიამ ენერგიულად უნდა დაუჭიროს მხარი თავის მოკავშირეებს, თუ მათ მესამე მხრიდან დაეცნენ, და ამ რიგად დაიცვას თავისი საკუთარი ქვეყანაც.“ პრესსა ერთხმად აღნიშნავს, რომ ეს მესამე პირი რუსეთია. გერმანიის კანცლერის სიტყვები რომ ცოტა სხვანაირად გამოვსთქვათ, გამოვა შემდეგი: მხარს დაუჭერ ჩემი მოკავშირეების პრეტენზიებს, და თუ ამის წინაღმდეგ ვინმე ხმას ამოიღებს, იძულებული გავხდები იარაღს მივმართოვო.

დღეს ავსტრია აცხადებს პრეტენზიებს. ადვილად შესაძლებელია ავსტრიამ დღეს არა ხვალ ულტიმატუმიც კი წარუდგინოს სერბიას. ყოველ შემთხვევაში ავსტრია ეცდება რაც შეიძლება ნაკლები სარგებლობა აჩვენოს სერბიას. თუ რუსეთი ცხადად გამოექომაგა ბალკანეთის კავშირს საზოგადოდ და სერბიას—კერძოდ, ავსტრია ომს არ მოერიდება. გერმანია ამას თავის მოკავშირეებზე თავდასხმად ჩასთვლის და, თან ხმად კანცლერის განცხადებისა, ავსტრიას დაეხმარება. ამ რიგად, რუსეთის წინააღმდეგ უნდა აღიმართოს გერმანია-ავსტრიის შეერთებული ძალა, თუ კანცლერს დაუჯერებთ.

ეს სწორედ ის საერთაშორისო ომი იქნებოდა, რომლისაც ისე ძალიან ეშინიან ევროპის დიპლომატიას. გერმანიის კანცლერს არ შეიძლება არა სცოდნოდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი სიტყვა ევროპის სახელმწიფოებსა და საზოგადოებრივ აზრზე. სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ კანცლერმა არამც თუ იცოდა, იმის იმედიც ჰქონდა. კანცლერის სიტყვებს ერთად-ერთი აზრი აქვს: შავი აჩრდილივით წინ დაუყენოს რუსეთის დიპლომატიას მოსალოდნელი კონფლიქტი და ამით გავლენა მოახდინოს მასზე.

რანაირად გადასწყდება ყველა ეს საკითხი, დიპლომატიურ ქარტეხილიდან რომელი მხარე გამოვა გამარჯვებული, ან საზოგადოდ დიპლომატიური საშუალებით მოხერხდება თუ არა გამწვავებულ მდგომარეობის მოსპობა, ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს.

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

23 ნოემბრის სხდომა

სხდომა გაიხსნა 2 საათსა და 30 წუთზე.

თავმჯდომარეობს **როძიანკო.**

წაიკითხეს განცხადება 18 დეპუტატისა. განცხადების ავტორნი გლეხები და ყაზახები არიან. განცხადებაში მოხსენებული იყო: რადგანაც სახელმწიფო სათათბიროს პარტიათა შორის არ არსებობს თანხმობა, სათათბიროს არ შეუძლიან გამოიჩინოს ნაყოფიერი შრომის უნარი. სამშობლო კი სათათბიროსგან გამოელის მშვიდ და ნამდვილ საკანონმდებლო მუშაობას. ამის გამო განცხადების ხელის-მომწერნი მოითხოვდნენ, მოახდინონ დანაწილება განყოფილებებად მეოთხე სათათბიროს წევრთა და შემდეგ შეუდგნენ პრეზიდიუმის წევრების არჩევას. წინადადება ერთხმად ჩაიგდეს. სათათბირო შეუდგა წევრთა დანაწილებას კენჭის ყრით.

წაიკითხეს მეორე განცხადება, განცხადების ხელის-მომწერთ შეაქვთ წინადადება მიიღონ მეოთხე სათათბიროში მესამე სათათბიროს ნაკაზი, სანამ ახალ ნაკაზს შეიმუშავებდეს.

**მაკლაკოვი** მომხრეა მიიღოს სათათბირომ ძალად მესამე სათათბიროს ნაკაზი, რადგანაც სენატს განსაჩივრებული მუხლები ნათლად არ ჰქონდა დასახელებული. ზოგიერთ მუხლში სენატმა განხილვის დროს დაინახა კანონის საწინააღმდეგო მცნება. დაწუნებულ მუხლებს ეკუთვნის ის მუხლებიც, რომელიც აძლევს თავმჯდომარეს დისციპლინურ უფლებას, სახლდორის უფლებას წესრიგის დაცვისა, სხდომიდან წევრის დათხოვნისა. არის მუხლიც, პალატის წეს-რიგს რომ იცავს. თუ განცხადების შენიშვნით მივიღეთ ნაკაზი, სათათბირო პირველ ხანებშივე გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებაო.

**პოვლოვცევი** პირველი. მომხრეა მიიღონ ნაკაზი, დაწუნებულ მუხლების გამოკლებით.

**ზამისლოვსკი.** მემარჯვენეთა სახელით ამბობს: შეუძლებელია მივიღოთ ის მუხლები, სენატმა რომ დაიწუნაო. მაგრამ, იგი არსებითად არ შეეხება ამ საკითხს, რადგანაც ნაკაზის საკითხი უწყებაში არ არის აღნიშნული. ფორმალურად სწორე იქნებოდა ჯერ უწყებაში შეგვეტანაო. მემარჯვენეთა განცხადება უეჭველად მეტის შედეგით იყო განხილული, განცხადებათა ასეთ მიმართულებას მეოთხე სათათბიროშიაც აქვს პრეცენდენტიო.

**ლიუეი** ამტკიცებს: ძნელად შეიქმნება რევოლიუციონურ აქტად ჩაითვალოს იმ ნაკაზის მიღება, რომლითაც ხელმძღვანელობდა ხუთი წლის განმავლობაში მესამე სათათბიროო.

**ზამისლოვსკი** სათათბიროს ყურადღებას იმ გარემოებას აქცევს, რომ ნაკაზის მიღების წინადადება განსაჩივრებულ მუხლებით, იმ წრიდან გამოდის, რომელიც მთავრობას სენატის ავტორიტეტის დარღვევას უსაყვედურებს და თვით ჰქადაგებს რაც შეიძლება დაიცვას ეს ავტორიტეტიო.

**თავმჯდომარე** განმარტავს ამ წინადადების დაუყოვნებლივ განხილვას რედაქციის ბუნდოვანების გამო შეუდგა სათათბიროო. არ შეიძლება არავითარ ანალოგიის გაყვანა ამ წინადადებასა და მემარჯვენეთა განცხადების შორისო.

**ლვოვმა** მეორემ სთქვა: ამ წინადადების ინიციატორთა ტექსტში არავითარი შენიშვნა არ იყო სენატის მიერ შეწუნარებულ მუხლების გამოო. შენიშვნა შემდეგ ჩიხაჩევმა გაუკეთაო.

კენჭი უყარეს საკითხს—სასურველია თუ არა ეხლავე უარჰყონ კენჭი ნაკაზის მიღების საკითხისო. 244 ხმით 138 წინააღმდეგ ნაკაზის მიღების კენჭის ყრა საჭიროდ სცნეს. ნაკაზის მიღების წინადადება მაკლაკოვის შესწორებით მიღებულ იქმნა 229 ხმით 165 წინააღმდეგ.

პირადი საკითხის გამო ილაპარაკა **ჩიხაჩევმა.** მას სრული უფლება ჰქონდა გაეკეთებინა შენიშვნა განცხადებისთვისო. **თავმჯდომარემ** განაცხადა: რადგანაც მეოთხე სათათბიროს სახელმძღვანელოდ მიღებულ იქმნა მესამე სათათბიროს ნაკაზი უცვლელად, სხდომა უნდა შევწყვიტოთ, რათა გადავათვალიეროთ დეპუტატებთა რწმუნებულება. სიტყვა ითხოვა **მარკოვმა მეორემ,** მისი აზრით სათათბირომ უნდა სხდომები გააგრძელოს, რადგანაც ერთმა კვირამ კიდეც გაიარა და არაფერი გაგვიკეთებიაო, სათათბირომ პრეზიდიუმის არჩევაც ვერ მოასწროო. მემარჯვენეებს არ უნდათ ადგილი პრეზიდიუმში (ხმები მარცხნივ: „მართალია, მართალი) მათ მხოლოდ მუშაობა ჰსურთო. უკვე შესდგა კონსტიტუციონალისტთა უმრავლესობა, საცა შედიან კონსტიტუციონალისტები, ოქტომბრისტები, პოლონელები, მუსულმანები, პროგრესისტები, კადეტები, შრომის ჯგუფელები და სოც.-დემოკრატები, დეე, ამ უმრავლესობამ აირჩიოს პრეზიდიუმი და ხელს ნუ შეუშლის მემარჯვენეთა უმცირესობას მშვიდობიან მუშაობაში, ნუ გაჰფლანგავს უსარგებლოდ ხალხის ფულს. ეხლა ნათლად სჩანს, რომ მუშაობას ხელს უშლის კონსტიტუციონალთა უმრავლესობა (ტაშის ცემა მარჯვნივ).

## ქართული პრესა

გაზეთს „იმერეთში“ ბ-ნი ურო სერიოზულის კილოთი უმტკიცებს ცნობილ მიმართულების ალხს, რომ ავტონომიური თვითმმართველობა მომასწავებელია პროგრესისა და არა რეგრესისა. ჩვენ კი გვგონია, რომ არა ღირს სერიოზული კამათი ისეთს ადამიანებთან, რომელთაც შეუძლიანთ აი ასეთი სისულელე დასწერონ:

„დღეს საქართველო არ წარმოადგენს ერთს ეკონომიურ მთელს, მისი ნივთიერი ყოფა-ცხოვრება გადაჯაჭვულია მთელ კავკასიაზე. უბაქოდ ბათომის წარმოდგენა შეუძლებელია. ტფილისი განიავდება იმ დღიდან, რა დღესაც ის დაკარგავს ამიერ კავკასიის ცენტრობას და გახდება მარტო ორი გუბერნიის ცენტრი“,

განიავდება თუ არა ტფილისი, ეს არ ვიცით, მაგრამ ისეთი ჭკუა-მოკლე პუბლიცისტები, რანაირთაც ამინახა „დასაწყისში“ მოიყრიათ, რომ უსათუოდ განიავდებიან, ამაში არავითარი ეჭვი არა გვაქვს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სათათბიროს ახლად არჩეულ თავმჯდომარის როძიანკოს სიტყვას რუსეთის გაზეთები ყოველის მხრით არჩევენ. „რ. ვედ.“ ი როძიანკოს სიტყვას უპირდაპირებს გუჩკოვის სიტყვას და ამბობს:

„ორი წლის წინად, 1912 წლის 12 მარტის სხდომაზე, ა. ი. გუჩკოვმა თავმჯდომარედ არჩევის გამო, მადლობა გადაუხადა სათათბიროს და თავის თავს „მონარქიულ-კონსტიტუციონურ წეს-წყობილების მომხრე“ უწოდა. მაგრამ ამ სიტყვებს დაუმატა განმარტება, რომელმაც სრულიად გააქარწყლა ნათქვამი. „მაგრამ ეს პოლიტიკური საკითხი მორიგი არ არის. მორიგ საკითხებად უნდა ჩაითვალოს ათასი საკითხი, რომელნიც მოკლედ დავიხასიათეთ ეხლა. ამ საკითხების შემუშავებისა და გადაწყვეტის დროს პოლიტიკურ აზროვნების სხვადასხვაობამ მუშაობას ხელი არ უნდა შეუშალოს“. ამ სიტყვებში მთელი პოლიტიკური პროგრამა გამოისახა. ხუთი წლის განმავლობაში ოქტომბრისტები გაურბოდნენ „პოლიტიკურ საკითხების“ დასმას და მთელ თავის ყურადღებას აქცევდნენ ათას საკითხებს“, რომელთა გადაწყვეტის დროს პოლიტიკური თვალსაზრისი შეიძლებოდა დავიწყებას მისცემოდა“.

თუ ისეთი ოქტომბრისტიც კი, რანაირიც როძიანკოა, ეხლა ამბობს, საჭიროა არა „ათასი საკითხები“, არამედ ერთი ისეთი, რომელიც რუსეთს დღევანდელ მდგომარეობიდან გამოიყვანსო, სჩანს უკმაყოფილება მართლაც ძალიან დიდი ყოფილა.

* *
*

ოფიციოზი „როსია“ და „ნოვოე ვრემია“ ერთმანეთს ეკამათებიან დეპუტატ—მღვდლების პოლიტიკით გატაცების გამო. ამის გამო მთავრობის გაზეთი „როსია“ სწერს:

„ნოვოე ვრემია“-ს არც თუ გაუხარდა, არც თუ გაუკვირდა, რომ ჩვენ აღვნიშნეთ საფრთხე, რომელიც მოელით პოლიტიკით გატაცებულ მღვდლებს“.

მთავრობის გაზეთს, როგორც ეტყობა, არ მოსწონს, რომ სახელმწიფო სათათბიროში მღვდელი-დეპუტატები პოლიტიკურ ხასიათის მოქმედებას იწყებენ. უცნაურია სწორედ! საკანონმდებლო დაწესებულება ყველგან და ყოველთვის პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზი ყოფილა. როგორ შეუძლიანთ დეპუტატებს, თუნდაც იგინი მღვდლები იყვნენ, გვერდი აუქციონ პოლიტიკურ მოქმედებას, როდესაც სათათბირო სწორედ ამ პოლიტიკის გამომხატველი ორგანოა? მაგრამ მთავრობის გაზეთის დაფარული აზრი ერთია: იგი პოლიტიკის წინააღმდეგი კი არ არის, იგი წინააღმდეგია ისეთის მოქმედებისა, რომელიც მთავრობის პოლიტიკას არ ეთანხმება. განსხვავება დიდია.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **დიდ მთავარ ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის** დადგმის სამზადისს ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა. ძეგლის თაობაზე, 23 ნოემბერს კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ სავანგებო კომისიას, რომელმაც საგანი სრულებით გაიხილა და დაადგინა: 1) დაიდგას ძეგლი მეფის მოადგილის სასახლის პირდაპირ, კავკასიის მუზეუმის უმთავრეს შესასვლელთან და 2) ეთხოვოს ქალაქის მოურავს, გამოაცხადოს კონკურსი ძეგლის პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად. ძეგლი ბრინჯაოსი უნდა იყოს, სიმაღლით 2—2 ნახ. არშინი.

✦ **მეფის მოადგილეს წარუდგნენ** 23 ნოემბერს: საქართველოს ეგზარხოსის მოადგილე ეპისკოპოსი პიმენი და ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი უმაღლეს კარის კამერ-იუნკერი თავ. ვ. ი. თუმანიშვილი.

✦ **შემწეობა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქლექიან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას მომავალ წელს 1,000 მან. აღმოუჩინოს შემწეობა.

✦ **ახალი თანამდებობა.** სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორასთან წვრილ კრედიტის ინსპექტორის მეოთხე თანამდებობის დაარსება საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა გამრავლებამ გამოიწვია.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსების ღარიბ მსმენელთა სასარგებლოდ** საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში კურსების მასწავლებელი დუბროვსკი ლექციას წაიკითხავს.

✦ ტფ. სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე **ლაგოდა** სამსახურის საქმეთა გამო გუშინ პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ უმაღლესი ბრძანებით, პეტერბურგის მიტროპოლიტად ახლად გარდაცვალებულ ანტონის ნაცვლად, დანიშნულია მოსკოვის **მიტროპოლიტი ვლადიმერი.** გამოქვეყნებულია ბრძანება მიტროპოლიტის სახელზე.

✦ დღეს, „ლონდონ“-ის სასტუმროში **საამხანაგო სადილი** აქვთ ტექნოლოგიურ ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნოლოგებს.

✦ ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, ავჭალის შეუღლაღებზე ოროქლის ქვაბების მაგივრად ელექტრის მანქანები დასდგას.

✦ **ქალაქის ლომბარდში.** ორშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს 7½ საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში კერძო თათბირი ექნებათ საბჭოს ხმოსნებს. თათბირის საგანია - ლომბარდის გამგისა და მის მოადგილის არჩევნები,

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა,** 26 ნოემბერს, განსახილველად ქალაქის საბჭოს წარედგინება.

✦ **შუამდგომლობა.** მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა გამგეობამ 100 მან გადასდოს მოხუც მასწავლებელ ქალთა თავშესაფარის შენობის დასამთავრებლად.

✦ **ტფილის-კოჯრის რკინის გზის** გაყვანის საკითხის განხილვა საბჭოს საიურიდიო კომისიამ უკვე დაასრულა. ეს საკითხი ახლა ქალაქის საბჭოს კრებას წარედგინება განსახილველად.

✦ რედაქციამ მიიღო პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის სტუდენტთაგან **სამძიმრის დეპეშა არისტო ქუთათელაძის გარდაცვალებისა გამო.** ხელს აწერენ განსვენებულის ნამოწაფარნი: ალადაძე, კარბელაშვილი, საყვარელიძე, კეზელი, ხელაია, უნგურია.

✦ **„განათლების“ საზოგადოება** 30 დეკემბერს გამართავს ჩვეულებრივ ისტორიულ საღამოს—„ნაპოლეონის ხანა“.

✦ **ტფილ. ქართ. საამხანაგო მომღერალთა გუნდი** 3 დეკემბერს გამართავს დიდს კონცერტს საინტერესო პროგრამით. გუნდი 40 კაცისგან შემდგარი **მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებში და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი შეასრულებს როგორც ჩვენს ხალხურ სიმღერებს, ისე ბ-ნ რატილის მიერ გადმოღებულ წმინდა ევროპიულ სიმღერებსაც.

✦ პოლიტიკურ გადასახლებულის **თომა ქველიშვილს** გადასახლების ვადა გაუთავდა. იგი აქ მოკლე ხანში ტფილისში დაბრუნდება.

✦ მეფის მოადგილემ ნება დართო **კახეთის რკინის გზის სამმართველოს** (ტფილისში), თავის ხარჯით იყიდოს ერთი ჩაფარი საქმარ ფურცლების კასასთან, ჩაფარი აგრეთვე უნდა გაჰყვეს მეარტელეს, როდესაც უკანასკნელი მუშათა ფულს დასარიგებლად წავა.

✦ **მიწის ძვრა.** 24 ნოემბერს, ღამის 12 საათსა და 40 წ. ტფილისში მიწა იძრა.

✦ გუშინ ვაჟთა მე-6 გიმნაზიის მე-5 და 6 კლასის მოწაფეებმა ტფ. ფიზიკური ობსერვატორია დაათვალიერეს.

✦ **ახალი ჟურნალი.** „სახალხო გაზეთი“-ს რედაქტორმა ნ. ს. კურდღელაშვილმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს გამოსცეს ტფილისში ქართული ყოველ-კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი, სახელად „სიმები“.

✦ 22 და 23 ნოემბერს ტფილისში 54 უპასპორტო შეიპყრეს

### სასამართლო

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** საქმეების გასარჩევად ქუთაისსა, ბათომსა და სოხუმში გაემგზავრა.

✦ **უგანათლებულეს თავადის უჩა დადიანის საქმე** 14 იანვარს გაირჩევა ბაქოში.

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია,** რომელიც ბაქოში იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** გუშინ ზაქათალას გაემგზავრა.

### სასწავლებლებში

✦ **საკადეტო კორპუსში** ხვალ, 26 ნოემბერს, ბალი გაიმართება.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 26 ნოემბერს მოხდება. კრებას 21 საქმე აქვს განსახილველი.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ 19 ნოემბერს ქალაქის საბჭომ დაადგინა: ა) მოწვეულ იქმნას ქალაქის სავანგებო კანტროლიორი, რომელსაც უნდა დაეკისროს განსაკუთრებით ქალაქის სხვა და სხვა დაწესებულების ანგარიშების კანტროლი. ჯამაგირად კანტროლიორს დაენიშნება წელიწადში 1000 მანეთი; ბ) ქალაქის ინჟინერს დაენიშნოს წლიურად 3,000 მანეთი და ორს ტეხნიკოსს ას-ასი მანეთი თვეში, მხოლოდ იმ პირობით, რომ აეკრძალოთ

მათ კერძო საქმეების აღება ქალაქ ქუთაისში; გ) მიეცეს ქალაქის გამგეობის მემანქანედ ნამყოფს ე. მიბელლი-ჩიქოვანისას, რომელსაც 5 წელს უმსახურია ქალაქის გამგეობაში, ერთდროულად ხუთი თვის ჯამაგირი, სულ 122 მან. 50 კაპ.; დ) მიეცეს ერთდროულად ქალაქის მდივანს დ. ავალიანს საგანგებო შრომისათვის ერთდროული ჯილდო 400 მანეთი; ე) ქალაქის გამგეობის მცველებსა („სტოროჟებს“) და იასაულებს მოემატოთ ჯამაგირები, წლიურად 24 მანეთი თითოს; ვ) მიღებულ იქნეს ქალაქის საფინანსო კომისიის აზრი შესახებ იმისა, რომ გაუქმებულ იქნეს არსებული წესი მოსამსახურეების ერთდროული დაჯილდოებისა იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი სამსახურს თავს ანებებენ. ამ ჟამად მოსამსახურეებს სამსახურის თავის დანებების დროს საზოგადოდ აძლევენ იმდენ თვის ჯამაგირს, რამდენ წელსაც მათ უმსახურიათ ქალაქის თვითმართველობაში. შემდეგისათვის კი მხოლოდ ისეთ მოსამსახურეებს მისცემენ ხსენებულ ჯილდოს, რომელნიც ამას დაიმსახურებენ და არა ყველას. ქალაქის საბჭოს ყოველი მოსამსახურის შესახებ ცალკე უნდა იქონიოს მსჯელობა შესახებ იმისა, ღირსია თუ არა ის ხსენებული ჯილდოსი.

✦ ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი სხდომა დანიშნულია 26 ნოემბრისათვის.

✦ ქალაქის გამგეობის მდივნად ხმოსანთა დიდი უმეტესობა ასახელებს დავით ბესარიონის ძეს მდივანს, რომელიც, როგორც გავიგეთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება კენჭი იყაროს, თუ გამგეობის წევრის ჯამაგირს 240 მანეთამდე მიუმატებენ.

✦ როგორც გავიგეთ, ქალაქის ინჟენერი მიხაილოვსკი თავს ანებებს სამსახურს და ტფილისში გადადის სახელმწიფო სამსახურში.

## ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

პარასკევს, 23 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, დრამატიულ საზოგადოების სადგომში დამსახურებულ არტისტის ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად შეერთებული სხდომა ჰქონდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობასა და საიუბილეო კომიტეტს. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა ბ-ნმა ნ. ტარსაიძემ დამსწრეთ აცნობა სხდომის მიზანი და განაცხადა, გამგეობამ, თანახმად დრამატ. საზოგ. წევრთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა, შეადგინა საიუბილეო კომიტეტი. გამგეობის საიუბილეო კომიტეტის წევრებად აურჩევია: ბ-ნნი გ. დ. ქურული, თავ. პ. ი. თუმანიშვილი, ი. ა. ბარათაშვილი, ალ. ბ. მდივანი, თავ. მ. ი. ორბელიანი, გრ. გრ. მაღალაშვილი, ი. ლ. ჯანდიერი, გ. ნ. დიასამიძე, ქ-ნი ეფ. ს. მესხი, ან. ალ. მაჩაბელი, ივ. გ. გომართელი, კნ. მარ. ი. ორბელიანი, ინჟინერი გ. გ. ჩხეიძე, ალ. რ. წუწუნავა, ი. ნ. მერკვილაძე, ქ-ნი ნ. შ. დავითაშვილი, ვ. ი. შალიკაშვილი, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, კნ. ბარ. გრ. მაღალაშვილი და ნ. ბ. ყიფიანი, თ. კ. ი. ანდრონიკაშვილი. საიუბილეო კომიტეტი ამ დღიდან დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან ერთად სისტემატიურად გამართავს სხდომებს იუბილეის შესამზადებლად და მოსაწყობად. ბ-ნმა ტარსაიძემ წინადადება მისცა დამსწრეთ აერჩიათ კომიტეტის თავმჯდომარე, ხაზინადარი და მდივანი. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ხაზინადრად ალ. ბ. მდივანი, ხოლო მდივნად—ქაიხ. ქავთარაძე. შეერთებულ სხდომას კომიტეტის თავმჯდომარემ თავ. ანდრონიკაშვილმა წინადადება მისცა გამოერკვიათ, თუ რომელ თვეში და რა დღეს გამართონ საიუბილეო დღესასწაული. კრების უმრავლესობამ საიუბილეო დღედ აირჩია 10 თებერვალი. შეერთებულმა სხდომამ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გადასდო რამდენიმე დღით და სთხოვა დრამატ. საზ. გამგეობას, გამოურკვიოს კომიტეტს და შემდეგ სხდომაზე აცნობოს, თუ იგი რომელ დღეს უმჯობესად სცნობს. ბ-ნ ილ. ზურაბიშვილის წინადადებით სხდომამ პრინციპიალურად საჭიროდ სცნო საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარის ამორჩევა, რომლის არჩევანიც შემდეგი დროისათვის გადაიდო. შეერთებულმა სხდომამ, თანახმად 14 ნოემბრის საზოგადო კრების სურვილისა, დაადგინა, საიუბილეო ზეიმი გაიმართოს ქართულს თეატრში დილითა და საღამოთი. დილით დაიწყება გამოსვლა, მიგებება იუბილიარისა და მილოცვები, ხოლო საღამოთი გაიმართება წარმოდგენა და გაგრძელდება მილოცვები დეპუტატებისა და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებისა. ამავე სხდომაზე დადგენილ იქმნა შედგენილ იქმნეს პატივცემულ იუბილიარის ბიოგრაფია დაწვრილებით სასცენო მოღვაწეობის აღნიშვნით და გამოიცეს საიუბილეო დღესასწაულისათვის, რისთვისაც გადაიდო 100 მან. ბიოგრაფია სარედაქციო კომიტეტს წარედგინება. დასასრულ, შეერთებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო საიუბილეო დღესასწაულის მთელის პროგრამის შესამუშავებლად არჩევა კომისიისა, რომელმაც მოკლე ხანში უნდა წარუდგინოს კომიტეტს შემუშავებული გეგმა საიბილეო დღესასწაულისა. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ თავ. ნ. დ. ერისთავი, თავ. მ. ი. ორბელიანი, პ. გ. მამრაძე, ქ-ნი ნ. ბ. ყიფიანი, ალ. ნ. წუწუნავა და იოს. ნ. მერკვილაძე. კომისიის თავმჯდომარედ და ხელმძღვანელად იქნება კომიტეტის თავმჯდომარე თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

## მომავალ საყურადღებო იუბილეის გამო.

მკითხველს მოეხსენება, რომ უკვე გადაწყდა და ახლო მომავალში გაიმართება 30 წლის იუბილეი ქართულ თეატრის ერთი საუკეთესო ქურუმთაგანის, სახელოვან მსახიობის ვლ. ალექსი-მესხიშვილის სცენაზედ მოღვაწეობისა.

მართალია ჩვენში თითქმის თავის მოსაბეზრებლად გამრავლდა ასეთი დღესასწაულები, მაგრამ მაინც ვლ. მესხიშვილის კვალ-დაჩნეული სასცენო მოღვაწეობა იმდენად საყურადღებოა ჩვენი ერისთვის, (მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა იმდენად აშკარაა ჩვენებურ მელპომენის ტაძარში, რაიც ასეთ დიდ როლსა თამაშობს ჩვენს თვითშეგნების ისტორიაში, რომ არ გვეგულება არც ერთი ისეთი შეგნებული ქართველი, რომელიც ზნეობრივ დაკმაყოფილებით და სიამოვნებით არ შეხვდეს ამ კულტურულ დღესასწაულს.

საზოგადოდ მეცნიერებისა და მასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ხელოვნების მნიშვნელობა კაცობრიობის სულიერ აღზრდაში ყველასათვის სკმაოდ აშკარაა. რუსეთის დიდებული მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი ამბობდა: „მეცნიერება და ხელოვნება ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც ადამიანის გული ფილტვებთან და თუ ამ ორგანოთაგან ერთი ერთია დაშავებული, მაშინ ვეღარც მეორე მოქმედობს რიგიანად. ნამდვილი მეცნიერება იკვლევს და შეაქვს ადამიანის შემეცნებაში ის ცოდნა-ჭეშმარიტება, რაიც ამა თუ იმ დროის არსებობაში ითვლება უსაჭიროესად. ხელოვნებას კიდევ ეს ცოდნა-ჭეშმარიტება გადააქვს ადამიანის გონების სფეროდან გრძნობის სფეროში“.

ეს თუ ითქმის საზოგადოდ კაცობრიობის შესახებ, კერძოდ ჩვენში კიდევ თეატრალურ ხელოვნებას თავისი განსაკუთრებითი ადგილი უკავია ეროვნულ-კულტურულ შემეცნების სფეროში. მოგეხსენებათ, ჩვენი ენის მდგომარეობა. საჭირო არ არის სიტყვის გაგრძელება ენის მდგომარეობაზე, როდესაც ყველას კარგად მოეხსენება. ჩვენს ენას თავშესაფარი აქვს მწერლობაში საზოგადოდ და თეატრში—კერძოდ. ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებათაგან ჯერ-ჯერობით დაგვრჩენია ერთად-ერთი ტაძარი ხელოვნებისა—თეატრი, სადაც ჩვენი ენას, ავად თუ კარგად, თავი შეუფარებია. ამიტომაც ამ ძვირფას ტაძარის კეთილდღეობას და აყვავებას ხელს უნდა უწყობდეს ყოველი შეგნებული ქართველი და არა აკლებდეს აგრეთვე თვის მზრუნველობა—თანაგრძნობას იქ მოღვაწე პირებსაც. საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ თეატრი მხოლოდ მაშინ ახწევს თვის მიზანს და იჩენს შესაფერ სიცხოველეს, როცა ამ ხელოვნების ტაძარში ფეხს იკიდებს არა შემთხვევით, უადგილოდ დარჩენილი ინტელიგენცია, არამედ, მხოლოდ ისინი, ვისაც აქვს ამისათვის შესაფერი მოწოდება, მომზადება და, რაიც უმთავრესია, ვისაც ღვთიური ნიჭი უღვივის გულში. საცა იგი უგულო მოხელესავით კი არ ასრულებს თავის მოვალეობას, არამედ ვინც სულით და გულით შესთვისებია თვისს ასპარეზს, ვისაც უნარი შესწევს აღძრას მაყურებელში სრული ილიუზია ცხოვრებისა და ვისაც ჯეროვანად გათვალისწინებული აქვს დიდი ზნეობრივი მოვალეობა სცენაზე მოღვაწისა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ჩვენებურ თეატრზე, ვინაიდან მას დიდი მოჯიბრე ჰყავს რუსული სცენის სახით, რომელსაც ჩვენზე გაცილებით მდიდარი რეპერტუარიც აქვს და მასზე მოღვაწენიც საუკეთესოდაც არიან გაწრთვნილ-მომზადებულნი. ამიტომაც ჩვენი თეატრის არსებობა ბევრით დამოკიდებულია ჩვენ მსახიობების უნარზედაც, რომ შესძლონ მიიზიდონ მაყურებელნი. სიმართლე კი უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ბევრგვარ ხელის შემშლელ პირობებისა, თუ ჩვენამდე მოახწია ჩვენმა თეატრმა და მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა, ამაში არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის მთელ წყებას ქართულ სცენაზე თავდადებულ მშრომელ თავწყალობით და სწორედ ამ მოღვაწეთა შორის ჩვენი მომავალი იუბილიარი ერთი პირველთაგანია. დვთიურ ნიჭით უხვად დაჯილდოებული, ჯეროვან მომზადების მქონე, ნაკისრ როლის ზედმიწევნით ხელოვნურად აღმსრულებელი. ვლადიმერ მესხიშვილი თითქმის კერპად შეიქმნა მაყურებლებთათვის. ვინც რომ ერთი-ორი პირი მაინც მესხიშვილის თამაშის გავლენით მისცემია დავიწყებას და ამითვე მიუღია ესთეტიური კმაყოფილება, ვისაც ამასთანავე უნახავს უცხო ერების საუკეთესო მსახიობთა თამაშიც და შეუდარებია, დაგვეთანხმება, რომ ვლ. მესხიშვილი, როგორც მსახიობი, ხელოვნების სამაყო ქურუმი იქმნებოდა ჩვენზე კულტურულად ბევრით დაწინაურებულ ერთათვისაც კი. ვ. ვლ. მესხიშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა იმდენად აშკარაა, რომ ზედმეტად მიგვაჩნია მასზე დიდხნით შეჩერება, ვიტყვით მხოლოდ, რომ ვლ. მესხიშვილის იუბილეი, იმისი მომავალი დღესასწაული, მთელი ჩვენი ერის დღესასწაულადაც უნდა ჩაითვალოს და ამიტომაც გამართებს ღირსეული მომზადებაც. დარწმუნებული ვართ ამ დღესასწაულში მრავალი ჩვენი პროვინცია მიიღებს მონაწილეობას და ამიტომ სასურველია, ამ საქმის ინიციატორმა და მომწყობმა—ქართ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, მეტი სიცხოველე და უნარი გამოიჩინოს: უნდა დაინიშნოს ახლო მომავალში საიუბილეო კომიტეტის კრება, რომელშიდაც მოიწვიოს პროვინციების წარმომადგენლებიც დღესასწ. პროგრამის შესამუშავებლად და სხვა.

**გ. ახალციხელი.**

## სიმინდის მანქანებით თესვა და თოხნა.

(წერილი თამარაშენიდან).

ეს 15 წელიწადია ჩვენში ძილ ნაკლები მოსავალი მოდის, ისე რომ ბევრი კიდეც საზარალოდ ჰხედავს ხვნა-თესვას, რადგანაც არ იცის როგორ მოახერხოს მოსავლის გაუმჯობესობა. ყველასათვის ცხადია, რომ მიწას გაპატივება უნდა, ამისათვის კი ბევრი პატივია საჭირო, ბევრი პატივისათვის კი ბევრი საქონლის ყოლაა. მიწის ხელოვნური განოყიერებელი ისე ძვირად დაჯდება მოტანის დროს, რომ ხარჯი მოსავლით არც კი დაიფარება, ისე რომ მართლაც საზარალოა ამისთანა პირობებში ხვნა-თესვა. ამ 15 წლის წინად რამდენი ხარჯი და შრომაც სჭირდებოდა, იმდენი ეხლაცა სჭირდება, სამაგიეროდ მოსავალი ბევრით ნაკლებია.

დიდ ფიქრში ვიყავით ჩაცვივნული, რა რიგად მოგვეხერხებინა ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ბევრმა სხვა საქმეებს მოჰკიდა ხელი: ზოგმა ხეხილის ჩაყრა დაიწყო, ზოგმა—ვაჭრობა და ზოგმა—ძარცვა-გლეჯა.

ამიტომაც როცა „ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების“ გამოგზავნილმა აგრონმა წინადადება მოგვცა, დაგვეთმო მისთვის მცირედი მამული, რომ შიგ საჩვენებლად სიმინდი დაეთესა, ჩვენ ცოტ-ცოტა ალაგები დავუთმეთ. პირობა ამნაირი იყო: თესლი, საქონელი, მუშა და მანქანის მიტან-მოტანა მამულის პატრონის ხარჯით იყო, აგრონომს ევალებოდა საჭირო მანქანების შოვნა და ხელოვნების გაწევა. თესლს, რომელიც მემამულეს არ მოეპოვებოდა, მაგალითად: ჰარხლისა, სტაფილოსი და ამერიკული სიმინდისა, აგრონომი უფასოდ იძლეოდა. მოსავალი სულ მამულის პატრონს ეკუთვნოდა.

ის ნაჭერი მიწები, რომელიც მე აგრონომს დავუთმე, მხოლოდ მარტში მოვხანი; ისიც გუთნით ორი დღისა და დანარჩენი ხუთი დღისა კი—ორხელითა, რადგანაც წვიმებმა შემიშალა ხელი. რაკი მარტი და აპრილი თითქმის სულ წვიმიანი იყო, ამის გამო აგრონომმა მხოლოდ პირველ მაისს მოახერხა დათესვა. დასათესად მიწები საკისეულ რკინის ფარცხით იყო დაფარცხული. ეს მიწები აგრონომმა ასე განაწილა: № 1 სივრცით 1624 ოთხ-კუთ. საჟენზე საქონლის საკვები ჭარხალი, ეგრეთ წოდებული „ობერნდორფის ყვითელი“ დათესა, № 2 სივრცით 1092 ოთხ-კუთხ. საჟენზე—საქონლის საკვები სტაფილო, № 3 სივრცით 1323 ოთხკ. საჟენზე—სიმინდი მანქანითა, № 4 სივრცით 1127 ოთხკ. საჟენზე—სიმინდი ხელითა, № 5 სივრცით 643 ოთხკ. საჟენზე—სიმინდი მანქანითა, № 6 სივრცით 1400 ოთხკ. საჟენზე—სიმინდი მანქანითა, და № 7 სივრცით 1200 ოთხ. საჟენზე—ამერიკული სიმინდი მანქანითა (№№ 6 და 7 ცალკე მდებარე მიწა იყო). მიწები ასე იყო შემუშავებული: №№ 1, 2, 3, 5, 6 და 7 იყო საკისეულ რკინის ფარცხით დაფარცხული და მერე მანქანით დათესილი, № 4 კი იყო იმავე რკინის ფარცხით დაფარცხული, მერე ხელით იყო თესლი დაბნეული, შემდეგ აკაფებული და ბოლოს ისევ დაფარცხული, მხოლოდ ქართული ფარცხითა; ესე იგი № 4 უკეთ იყო შემუშავებული ვიდრე სხვა ნაჭრები. ამ № 4 თესლი $1^3/_4$ ჩანახი დასჭირდა. მანქანით დასათესად სიმინდი №№ 3 და 5 დასჭირდა $1^1/_2$ ჩანახი, ისე რომ ხელით დასათესად თითქმის ორი ჩანახი მოუნდა დღიურსა, მანქანით დასათესად კი თითქმის იმდენივე მოუნდა ორ დღიურს [illegible] ერთ დღე[illegible].

პირველ [illegible] გაითოხნა 31 მაისს. № 4 ხელითა—დასჭირდა 10 მუშა, №№ 3, 5, 6 და 7 გაითოხნა სიმინდის სათოხი მანქანით „პლანეტით“, და დასჭირდა დღიურს 3 ნახ. მუშა სიმინდის გათხელებითა. დაახლოვებით 2—3 კვირის შემდეგ მეორედ გაითოხნა. ხელით დათესილ სიმინდს დღიურს დასჭირდა 6 მუშა, მანქანით დათესილს კი მანქანით გათოხნაზე—დღიურზე ერთი მუშა. მკათათვის პირველ კვირასა № 3 კიდე მესამედ გავთოხნე მანქანითა და დღიურს ერთი მუშა დასჭირდა. ამ რიგად № 3, რომელიც მანქანით იყო დათესილი და მანქანითვე სამჯერ გათოხნილი, დასჭირდა 5 ნახ. მუშა დღიურსა, ხელით დათესილ № 4 ორჯელ გათოხნაზე დასჭირდა დღიურზე 16 მუშა და №№ 5, 6 და 7 მანქანით დათესილ და მანქანითვე ორჯელ გათოხნაზე დასჭირდა დღიურს $4^1/_2$ მუშა.

წრეულს ურწყავი სიმინდი საერთოდ დიდი გვალვების გამო ძიელ მოსცდა ჩვენში და დათესვის შედარებით მალე გაიჭრა, ე. ი. 27 და 28 მარიამობისთვეში.

მოსავალი გამოიწონა და შემდეგი გამოვიდა:

№ 3 მანქანით დათესილში და მანქანითვე სამჯერ გათოხნილში სიმინდი მოვიდა დღიურის ვარაუდზე 45 ფ. და 12 გირვანქა, № 5 მანქანით დათესილში და მანქანითვე ორჯელ გათოხნილში დღიურის ვარაუდობაზე—29 ფუთი 16 გირვანქა (გარდა იმისა რაც სოფლის საქონელმა, ღორებმა და ძაღლებმა შეჭამა და წაახდინა) და № 4 ხელით დათესილში და ხელითვე ორჯელ გათოხნილში მოვიდა დღიურის ვარაუდობაზე 23 ფუთი 28 გირვანქა. ამ რიგად ამ წლის მუშაობამ ნათლად დამიმტკიცა, რომ მანქანით სიმინდის დათესვა და მანქანითვე გათოხნამ შედარებით ჩვენებურთან ძიელ დიდი სარგებლობა მომიტანა, როგორც მოსავლის რაოდენობით, აგრეთვე თესლისა და მუშა ხელის თვალსაჩინო შემცირებითა.

№№ 1, 2, 6 და 7 ნაჭრების შესახებაც მალე შეგატყობინებთ.

**ანტონ ივ. ფალავანდიშვილი.**

## პირველი სადილი

(„კორტოხას“ ნაა. ბიძი.)

„იმ დღემდე არც ერთხელ აზრად არ მომსვლია, თუ რა ოფლით იყო თურმე მორწყული ყოველი ლუკმა, რომელსაც მადიანად შევექცეოდი. ჭამა ჩემთვის მხოლოდ სიამოვნება იყო, რომელსაც არც წარსული ჰქონდა, არც მომავალი. სჭამე „რაც უფრო მოგწონს; სჭამე, რამდენიც გინდა და როცა კი გცალიან,—ასეთი იყო ჩემი შეხედულობა.

მოცლა კი ბევრი მქონდა. სწავლა ჩემთვის სულ ადვილი საქმე იყო. მასწავლებლები ალტაცებაში მოდიოდნენ ჩემით. სოფელში ქკვიანს მეძახდნენ, ამხანაგები—ნიჭიერს, მაგრამ ვერაფერი ჭკვიანი იყო თურმე თქვენი სტეფანე! ვერ გამეგო ან, უკეთ გულით გითხრათ, ვერ მეგრძნო, რი-

---

# ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი ხელოვანი.

„სამშობლო ცასა ბნელად გაშლილი
გლოვის ზეწარი გადაეფარა..“
**ი. ჭ.**

(დასასრული *)

ბევრი ილიას „განდეგილს“ ნასესხებად სთვლის და სხვათა შორის ასახელებენ ემ. ზოლას: „აბად მურეს შეცდომას“ და ფლობერის: „წმ. ანტონის განსაცდელს, როგორც ისეთ ნაწარმოებთ, რომელთაგანაც ილიას ვითომდა გადმოეღოს თავისი პოემის დედა-აზრი.

ორივე ზემოხსენებული ნაწარმოები ზედმიწევნით აქვს განხილული ბ. კიტა აბაშიძეს, რომელიც ნათლად ამტკიცებს იმ აზრის სრულს უსაფუძვლობას, ვითომც „განდეგილი“ ნასესხები ნაწარმოები იყოს. *)

პოემაში **„ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“**, ილიას საუცხოოდ აქვს დასურათებული მთელი სიმწვავე იმ მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფებოდნენ ყმები. ყოველი პწკარი, ყოველი სიტყვა ამ პოემისა გაღვივებულია პოეტის წრფელი სიყვარულითა და თანაგრძნობით ყმებისადმი. პოეტს უყვარს თვისი ზაქრო არა მარტო იმისათვის, რომ იგი ჩაგრულია, არამედ იმისათვისაც, რომ იგი მონურად არ უხრის ბედს კისერს და მამის დამცირების ვერ ამტანი, სიცოცხლეს უსპობს ბატონს და მიაშურებს იმ მაას, სადაც შეხიზნულა განთქმული კაკო ყაჩაღი, რომლის სახელი ბავშმაც კი იცის და რომელზედაც „მოუბნობს კაცი და ქალი“, რომ მასთან ერთად გაინაწილოს უსახლკარობა, შიში, შიმშილი, მარტოკა გდება მხეცივით ტყეში, კურდღელსავით ფხიზელი ძილი და იარაღით დღე და ღამ ხელში“ იცავდეს თვის არსებობას. ქართულ მწერლობაში დღემდის არ მოიპოვება ამ პოემის მსგავსი იმ სულის შემხუთველ მდგომარეობის საუცხოვოდ აღწერის მხრივ, როდესაც ადამიანი იძულებულია დაუტევოს სახლ-კარი, ნაცნობი ტყე-ველ-მინდორი, სიყრმის ტოლ-ამხანაგნი, და ილტვოდეს მიუვალ მთად, რომ დაიცვას თვისი არსებობა და ორი დღის წუთი-სოფელი შეინარჩუნოს. ამ ბოლო დროს ბელეტრისტულ ნაწარმოებში სცადეს ზაქროსთანა პიროვნების დახასიათება (მაგ. ბ. შ. არაგვისპირელი) მაგრამ ჯერ ილიას ვერავინ შეედრება.

სწორედ საუცხოოდ აქვს გადმოცემული ილიას ზაქროს სახლის მოშორება და ბატონის მოსამსახურედ გახდომა. „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი“ ხომ ყველა ქართველმა იცის ზეპირად და ხშირად ვყოფილვარ მოწმე, რომლის პირველ-დაწყებითი სკოლისმოწაფენი, საქონლის მწყემსად სოფლიდან ველ-მინდვრად გასულნი, ერთი-მეორეს დაჰჯიბრებოდნენ მის უკეთესად წარმოთქმაში.

ისე კარგად გვისურათებს ზაქროს მდგომარეობას პოეტი, რომ ჩვენც ძალზე გვაყვარებს მას და მის თანამგრძნობადაც გვხდის, რადგან ღრმად გვახედებს იმ მდგომარეობაში, რომელიც სულს უხუთავს ზაქროს და მის მოძმეებს, გვამცნობს ზაქროს პატიოსანსა და ნათელს სულს და იქ გაჩენილ ჭრილობებს ნაზი და მოყვარული ხელით გვიშლის:

იმდენად არის პოეტი შეპყრობილი თვისი „ბედკრული ქვეყნის“ შესახებ ფიქრით, რომ ვერავითარი სიმშვენიერე ვერ უყუჩებს აშლილ დარდებს; ვერც დილა წარმტაცი, როდესაც „ცა უღრუბლო და მხიარული გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა“, ჰხიბლავს ილიას „უნდო გონებას და იგი წარმოსთქვამს ისეთ ძლიერს და მაღალ აზროვან სიტყვებს, რომელთაც ნათლად აზის ბეჭედი ავტორის სიდიადისა:

„ნუ გჯერსო, მითხრა, ეს მყუდროება,
სტყუის ზეცაც და ქვეყანაცა!
ამგვარი დილა ქვეყანას ბედ-კრულს
**ბევრჯერაც სხვა დროსაც გასთენებია** *)
**მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს**
**მადლი ცისა არ მიჰკარებია.**
სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...
ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი,—
**ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს და სცნობ,**
**თვით მაგ დუმილში რა წყევლა არი** **).

ამ სიტყვებში გამოთქმულია ილიას მთელი მსოფლ-მხედველობა, რომელსაც არ იზიდავს „დუმილი“, არც მყინვარის სიდიადე, მას უყვარს წინმსვლელობა, ცხოვრების ხმიანი მიმდინარეობა. მშვენიერი დილის ჭვრეტით ილია პოეტში იღვიძებს გრძნობა წარმტაცი სურათით დატკბობისა, მაგრამ ამავე დროს მასში მხილდება ილია მოაზრე და ეს გრძნობა ესთეტიურ ტკბობისა წამს მწარედ იქცევის და პოეტს მოტანილ ნაღვლიან სიტყვებს წარმოათქმევინებს.

ხოლო მომხიბვლელობა ამ დილისა თან და თან ჰპოულობს ძლიერს გავლენას ილია პოეტზე და თან და თან ეფანტება მას „ეჭვთა ღრუბელი“ და ევლინება „ყოვლად შემძლები ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა“.

პოეტის სიდიადის დამამტკიცებელი სხვათა შორის მისი სულის ცხოვრების სიმდიდრეა და ისიც, თუ რა სახით გამოჰკრთებიან ცხოვრების მოვლენანი, პოეტის სულის სიღრმეში გატარებულნი. და აბა დაუკვირდით ამ მხრივ ილიას შემოქმედებას, თუ გაოცებაში არ მოხვიდეთ მისი მაღალის სულის სიდიადით, რომელიც ნაკადივით სჩქეფს მის ნაწარმოებთაგან.

**„აჩრდილში“** ილია მწარედ მოსთქვამს „საწყალ ფურად“ გადაქცეულ სამშობლოს ბედს. საქართველო ის აღარ არის, მისი აზრით, რაც იყო; „გმირის დამბადი საგანი მასში სპოვილა და წარწყმენდილა“; იგი შვილთაგან „გმობილი უცხოს კალთის ქვეშ, ვითა ობოლი, შეფარებულა“. მის შვილებს არა აქვსთ ერთმანეთის ნდობა და რწმენა, „ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურსთ, თუმც ერისათვის თითქოს იღვწიან, თვით ამბობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ“. ამ სიტყვებს, მკითხველო, დღესაც არ დაუკარგავს თვისი აზრი და მნიშვნელობა; მიმოიხედეთ ჩვენს კრუთხეულ ქვეყანაში, თუ პოეტის მიერ ნათქვამი მწარე სინამდვილედ არ წარმოგიდგესთ! დღესაც, რამდენია ჩვენში ისეთი მოღვაწე, რომელსაც მართლაც ქვეყნის სამსახური ეწეროს გულის ფიცარზე? ასეთნი თითზე ჩამოსათვლელი არიან, ხოლო უმრავლესობა ისე შეუპყრია პირადი განდიდების მანიას, რომ ჩინოსან ბობოლასავით ყველას მფარველობისა და უფროსობის კილოთი ესაუბრებიან და ჰგონიათ რომ იგინი არიან მარილი ქვეყნისა და დედაბოძი ერისა და სამშობლოსი.

„აჩრდილში“ ილია ვრცლად ეხება ყმების ბედშავ მდგომარეობას, რომელთაც ლამაზი ქალიშვილის აღზრდისაც კი უნდა ეშინოდესთ, რადგან მას, „რაც უყვარდათ, ნახვენ დაცემულს, ნამუს წართმეულს და შეგინებულს“.

ყმას ხომ „ზეცაც წაართვეს ძალით“. მისი ერთად-ერთი მეგობარი, ისევ მასთან ერთად შეზრდილი ლაპაა, რომელთანაც მას ბევრი რამ აკავშირებს:

„შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდებათ“,

ეუბნება იგი თვის ლაბას, რადგან:
„მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის
ჩემი კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიანო“ („გუთ. დედა)“.

შენ ვერ მიხვდები, ჩემო ლაბავ, „მეტყველის ტანჯვას, როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს.“ მწარედ წარმოსთქვამს იგი.

— უმწეოა შენი მდგომარეობა, შრომის შვილო, ამბობს ილია, მაგრამ „დაიმსხვრევა იგი ბორკილი შემფერხებელი კაცთა ცხოვრების და ახალ ნერგზედ ახლად შობილი ეს ქვეყანა კვლავ აყვავდებისა“.

ვგონებ, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ილიას ამ სიტყვებს 49 წლის წინად დაწერილს: ილია „შრომის სუფევის“ დამკვიდრებას ჰქადაგებს, რომლის განმტკიცების დროს „უქმ სიტყვად არ იქნებიან ძმობა, ერთობა თავისუფლება, ეკლის გვირ-

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 757.

*) იხ. კიტა აბაშიძის „ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურის შესახებ“, ტ. 1.

*) ხაზი ყველგან ჩვენია.

*) „აჩრდილი“.

# რა საჭიროა!...

დასწყვიტეს ჩანგის წმინდა სიმები,
სევდათა ქია შეუჩნდა შვებას;
მე აღარ მიყვარს მზისა სხივები,
აღარა ვგალობ რიჟრაჟზე ქებას...

—

მჭკნარ ფოთლებს ხეზე ხელს ნუ შეახებთ,
უიმისოდაც ჩამოცვივდება:—
რა საჭიროა ბედს რო მიძაგებთ,
განა ისე კი არ მეზიზღება?!

**ი. მჭედლიშვილი.**

სთვის იდგამდა მუშა ხალხი წელებზე ფეხს.

ეს მხოლოდ იმ დღეს გავიგე,—პირველს სადილზე რომელიც ჩემი საკუთარის შრომით იყო შეძენილი. ჯერ მთელი ოცი დღე გულის ფანცქალით მოველოდი პირველ ჯამაგირს. ჯამაგირი! ეს ხომ ყველასთვის ცხადი და სარწმუნო ნიშანი იყო, რომ მე უკვე მოზრდილი, თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიყავი, რასაც პატარაობითვე ვოცნებობდი.

შინ ამაყად დავბრუნდი. ქვეყანა ვარდის ფრად მეჩვენებოდა. რამდენი ავიღე, ეს არ მეკითხებოდა. საგულისხმო იყო მხოლოდ ისა, რომ მე თვითონ საკუთარი ჯამაგირი ავიღე. სადილობა ჯერ კიდევ ადრე იყო და მეც თითქოს იმისთვის, რომ სხვებსაც ეგრძნოთ ჩემი სიხარული, მედუქნეს და დიასახლისს დანახარჯის ანგარიში მოთხოვე. მომართვეს (სხვა სიტყვას მაშინ როდი ვკადრებდი თავსა)—ელდა მეცა ვიგრძენ რაოდენობის საშინელება. შემდეგი ათი დღისთვის თითქმის არა მრჩებოდა რა. წარმოიდგინეთ, თურმე იმდენი მეძლეოდა ჯამაგირად, რამდენსაც ორთა-შუა რიცხვით მარტო ძე ვხარჯავდი მოსწავლეობაში. სწორედ იმ წუთებში გავიგე მშობლების ყადრი, მათი დაუღალავი მზრუნველობა და მშრომელთა გულის პასუხი. თურმე ყველაფერს გვასწავლიდნენ, გარდა ცხოვრებისა და როცა ცხოვრების მწარე ამოცანა შეუბრალებლად ამეტუზა თვალ-წინ, დავიბნიე და ვერც ერთ აბდა-უბდაში, რითაც კი სასწავლებლებში თავი გამომიტენეს, პასუხი ვერ მეპოვა...

სადილი უკვე შემოეტანათ,—ის დაუვიწყარი, პირველი სადილი. შევცქეროდი და ცხადად ვგრძნობდი, რომ ეს გარედან კი არ შემოიტანეს. არამედ ნაწილი იყო ჩემი საკუთარ არსებისა, რომელიც ვიღაცას რაღაცაზე მივყიდე, რომ კუჭი გამეძღო. ეს სადილი თითქოს ჩემი გულის, ჩემი ტვინის ნაგლეჯი იყო, რომელიც პირში უნდა ჩამედო, რომ ჭამის სიამოვნება მეგრძნო.

შევცქეროდი და გული მემღვრეოდა. დიდ ხანს ვუვლიდი გარშემო, მაგრამ ჭამა ვერ გავბედნა, სანამ მეორე მწარე სინამდვილემ არ გამომარკვია: მორიგე ვიყავ და ნახევარი საათი-ღა დამრჩენოდა თავისუფალი...“

დაახლოვებით ასეთის შინაარსისა იყო პატარა ამბავი, რომელიც ერთხელ, ოთხმოციან წლებში, საღამო ხანს, ბინების გასინჯვის დროს გვიამბო თავისი თავგადასავალიდან „**კორტოხამ**“,— აწ განსვენებულმა († 12 ნოემბერს) **სტეფანე შიოს ძე ძიმისტარიშვილმა**—თავისი პაწია მოწაფეებს. რასაკვირველია, ჩემს გადმოცემაში ნახევრადაც არ არის დაცული ის გრძნობიერი სიტყვები, წმინდა ქართული და მომხიბლავი კილო, რომელიც ნათქვამს შიგ გულში აწვდენდა მსმენელს. ეს განსვენებულის პირად ღირსებას შეადგენდა, რომლის მიბაძვა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მე მხოლოდ შინაარსი მოგახსენეთ. არ ვიცი, აღნიშნა თუ არა სადმე განსვენებულმა თავისებური მჭრელი კალმით მოგონება პირველ სადილის შესახებ, ან უამბო თუ არა იგივე თავის მოწაფეთა სხვა თაობას, მაგრამ ჩემის დროის მოწაფეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ მოთხრობამ. როცა ვინმე სადილს დაიწუნებდა ან ძლიერ მოიწონებდა, ანაზდეულად ვეტყოდით ხოლმე: „აბა ერთი მაშინ სთქვი, როცა პირველად სჭამ საკუთარ სადილსო!..“

ბევრჯერ მომგონებია განსვენებულის ნაამბობი, როცა სწავლა განვაგრძე. მომაგონდა იმ დღესაც, როცა პირველად ავიღე შრომის ფასი და მთელის არსებით ვიგრძენ ნაამბობის სინამდვილე. მუდამ ტკბილი იყო ეს მოგონება, მაგრამ მძიმე ლოდად დამაწვა ის გულზედ, როცა სამწუხარო ამბავი გავიგე.

ნეტარ იყოს ხსენება შენი, ტკბილო და გონიერო მასწავლებელო!

**ახელი.**

# მარტყოფის მონასტერი.

ღვთაების მონასტრიდგან კარგა მანძილზე, მაღალ კლდის თავზე, მედიდურად გადმოიცქირება ღირსი მამა ანტონი მარტყოფელის სვეტი. ბერების სიტყვით, ათი-თხუთმეტი წლის წინად ანტონის სვეტამდე ასვლა, მეტად ძნელი ყოფილა უგზოობისა გამო, მაგრამ დღეს მშვენიერი მიხვეულ-მოხვეული განიერი გზა ბილიკი-ადის. როგორც მონასტრის წინამძღვარმა მამა გერმანემ მიამბო, ეს გზა გაუკეთებია მთავარ-დიაკონს მამა იოსებს. სვეტზე ყოფილა მიდგმული პატარა ეკკლესია და ჩამონგრეულა. აქ ფიცრული მოაჯირი მიუდგავს თავისი საფასით ერთს თბილისელს. აქედან გადახედვა ფრიალო კლდეზე თავზარსა სცემს ადამიანს. სვეტიდან, ორი-სამი გუთნის გაშლით მოშორებით, არის ტყიანი ვაკე, სადაც ეტყობა, ოდესმე აქ ეკკლესიაც ყოფილა და შენობებიც. აქ, ასვენია ხის ჯვარი ფიცრულით წამოხურული. ჯვარი უკურთხებია, მთავარ ეპისკოპოსს ალექსის, და სურვილი განუცხადებია აქვე ნიშის აშენებაზედაც.

ძველის გადმოცემით ამ ალაგას ყოფილან თორმეტნი ძმანი—ბერები, რომელნიც მტერთ ამოუწყვეტიათ და ეკლესიაც დაუნგრევიათ. მართლაც, ჯვარზე ცოტა მოშორებით ერთი ამაღლებული ალაგი ყოფილა ზედ ხეებით შემოსილი. გადმოცემის მიხედვით, მამა იოსებ ბერს, ეჭვი შეჰპარვია, რომ აქ რაღაც უნდა იყოსო; მისდგომია ამ ალაგს და დაუწყვია თხრა, სადაც აღმოუჩენია, 1911 წელს ძველი ეკკლესიის ნანგრევი. ეკკლესიის კედელს ადლ ნახევარი სიმაღლე აქვს. როგორც ნათხარიდან სჩანს, ეკლესია მწვანე კრამიტით ყოფილა დახურული; ნამტვრევები იმ კრამიტისა დღესაც ყრია. ღვთაების მონასტრის ქვევით ჩრდილოეთის მხარეს, არის ძველი პატარა—ეკლესია, ყოვლად წმიდის სახელზე; აქაც იოსებ ბერს გაუკეთებია მშვენიერი ბილიკი. სოფელ მარტყოფიდან მომავალი გზაც მარტყოფელი გლეხების დახმარებით მშვენიერ საურმე გზა გაუკეთებიათ.

იოსებ ბერმა მიამბო შემდეგი:

ღვთაების მონასტრის ქვეით, ჩრდილოეთის მხარეს; იმ დროს როცა საბალჩე ალაგს ვბარავდი და მიწას ვასწორებდი, წავაწყდი ერთს დიდ ქაჰს, (პეტყელ ქვას) ქაჰი როგორც იყო ავხადე, და სანთლით ჩავედით; შიგ ქვიტკირით ამოშენებული მოზრდილი ოთახი არისო. კედლის ძირებზე ქვიტკირისავე ჩამოსასხდომია, ჩამოსასხდომზე არის ჩამომწკრივებული თორმეტი კაცის ჩონჩხი; ეტყობათ ჩამომსხდარან და ისე დახოცილან; თავები ძირსა ყრია. ჩონჩხების ჩამოსასხდომზე ეტყობა თითქოს მტერს თავები დაუყრევინებიათ, წინ გადმოვარდნილან თავები და ტანი ჩამოსასხდომზე დარჩენილაო. ქაჰი როგორც იყო, ისე დავხურე და მიწა მივაყარეო, თქვა მამა იოსებმა. შეიძლება ამ აკლდამაში, ისტორიისთვის შესანიშნავი რამ აღმოჩნდეს; ურიგო არ იქნება ჩვენი ისტორიკოსი ვინმე მივიდოდეს ამ აკლდამის გასაშინჯად ღვთაების მონასტერში. მამა იოსები (ერის კაცობაში იაკობ ხარაზიშვილი) 30 წელიწადია რაც ამ მონასტერშია და თავისი ძალღონე აქ შეუწირავს. ეხლა პატარა წყარო უპოვია მარტყოფიდან მიმავალ გზის მხარეს და ცდილობს როგორმე მონასტერში გამოიყვანოს.

**ქართველი ოსებში ნამყოფი.**

# სათათბირო გარშემო

კადეტებს აზრადა აქვთ შეიტანონ შეკითხვა ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ არჩევნების დროს.

ნაციონალისტები და მემარჯვენენი, როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, დემონსტრაციულად გავიდნენ სათათბიროს სხდომიდან იმ დროს, როდესაც თავმჯდომარედ არჩეული როძიანკო სიტყვას ამბობდა. შედეგად ამას ის მოჰყვა, რომ თერთმეტი უკმაყოფილო გლეხი ოქტომბრისტების ფრაქციაში გადაეწერა და ერთი კიდევ—პროგრესისტებშიო.

გლეხებს, რომელთა რიცხვი 80 ილადის, აზრადა აქვთ გლეხთა დამოუკიდებელი ფრაქცია შეჰქმნან.

# საკანონმდებლო მუშაობის მემკვიდრეობითი საკითხი.

მარინის სასახლეში 12 ნოემბერს, მანუხინის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო კომისიისა. კომისიის წევრების გარდა თათბირში მონაწილეობას იღებდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი, იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი ხარიტონოვი, კრივანოვსკი და ზოგიერთი წევრი სახელმწიფო საბჭოსი, კომისიას მინცობილი ჰქონდა გადაეწყვიტა საკანონმდებლო მუშაობის მემკვიდრეობის საკითხი. კოკოვცევმა და შჩეგლოვიტოვმა წარმოსთქვეს ვრცელი სიტყვები; ისინი იცავდნენ მემკვიდრეობითი საკითხის პრინციპს. კოკოვცევი საკითხს ყოველმხრივ შეეხო: აღნიშნა მისი საიურისტო და საპრაქტიკო მხარე. მინისტრმა სთქვა: 1906—1907 წლის დარჩენილ კანონპროექტების განხილვაზე უარი რომ განაცხადა საბჭომ მაშინ სულ სხვა იყო და უარს სულ სხვა ხასიათიც ჰქონდაო. მაშინდელი სათათბირო ძალდატანებით იყო დათხოვნილი. ეხლა კი, მესამე სათათბირო თავის ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა და მისი მემკვიდრეობითი საკითხი პრინციპის თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილულიო.

კოკოვცევი ამბობს: თუ მემკვიდრეობითი საკითხის მიღებას უარვყოფთ, ეგ იმას ჰნიშნავს რომ მესამე სათათბიროს უკანასკნელი წლის მოქმედება სულ მთლად გავაქარწყლოთ და სახელმწიფო საბჭოს კი მივცეთ „დრო სეირნობისა“, სანამ ახალი სათათბირო ითათბირებს დარჩენილ კანონ-პროექტების თაობაზეო. თუ რაიმე უთანხმოება აღმოცენდება ამ კანონ-პროექტების გამო სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს შორის, მაშინ საბჭომ უნდა დაუბრუნოს განსახილველად ახალ სათათბიროს და არა შესათანხმებელ კომისიებსო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მხარს უჭერს შჩეგლოვიტოვიც მემკვიდრეობითი. საკითხის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ მემარჯვენენი გრაფი ბობრინსკი, სტრუკოვი და როგოვიჩი. როგოვიჩის აზრით, საკითხის პრინციპიალურად დაყენება სრულიად საჭირო არ არის. თვითოეული საკითხი უნდა პრაქტიკულ თვალსაზრისით განიხილოსო, დამოუკიდებლივ სხვა საკითხზეო. როგოვიჩს უპასუხა კოკოვცევმა: თუ თქვენ არ მოგწონთ სათათბიროს პროექტი, შეგიძლიანთ უარჰყოთ, მაგრამ ამასთანავე უნდა განიხილოთ იგიო; არ შეიძლება საკანონმდებლო მოღვაწეობაში ადამიანი ჰხელმძღვანელობდეს პრინციპით: „მსურს შევიყვარებ, მსურს შევიძულებო“.

მემკვიდრეობითი საკითხის პრინციპის სასარგებლოდ ილაპარაკა მემარცხენეთა ლიდერმა გრიმმა. საკანონმდებლო მუშაობის მემკვიდრეობითი პრინციპი უნდა მიღებული იყოსო, სთქვა გრიმმა, მაგრამ ამასთანავე ერთი პირობა უნდა დავიცვათო: თუ ვინიცობაა საბჭომ არ მოიწონა ცალკე მუხლები სათათბიროს მიერ დამტკიცებულ კანონ-პროექტისაო, ახალმა სათათბირომ ეს კანონ-პროექტი არსებითად უნდა განიხილოს და არა მარტო დაწუნებული მუხლებიო. ამის შემდეგ, თუ საბჭომ კიდევ არ მოიწონა სათათბიროს შესწორებანი, მაშინ კანონ-პროექტი შესათანხმებელ კომისიას უნდა გადაეცესო. მთავრობის წარმომადგენლებმა მოიწონეს გრიმის აზრი. საკითხს კენჭი უყარეს, საკითხი მიღებულ იქმნა წინააღმდეგ სამი ხმისა.

# პატარა ფელეტონი

## მაგალითი

მეხუთე აუდიტორია გაჭედილია მსმენელებით. შემოდის ახალგაზრდა პროფესორი, ადის კათედრაზე და იწყობს სამოქალაქო უფლებიდან ლექციის კითხვას. „ბ.ბ. წარსულ ლექციაში შევეხე დაწვრილებით, თუ როგორ ხდება ანდერძით ქონების გადაცემა. წვრილი მოძრავი ქონების, ანუ ნივთის გადაცემა ხშირად ხდება უწერილოთ, სიტყვიერად. ამას სამოქალაქო უფლებაში ეწოდება ჩუქება. ყოველ უფლებიან პირს შეუძლიან თავის ნებით აჩუქოს ვისმეს ესა თუ ის ნივთი. ამ მოქმედებაში საჭიროა მხოლოდ სამი ელემენტი. პირველი — მჩუქებელის სრული ნება-სურვილი; მეორე—მჩუქებელის უფლება ამ ნივთზე; და მესამე – მოწმე. მაგალითად: რომელიმე თქვენგანს კარგმა ნაცნობმა თუ ნათესავმა გაჩუქათ ნივთი, რომელიც მას არ ეკუთვნის, გამოაცხადათავის სურვილი, დაისწრო მოწმეებიც. ამ შემთხვევაში მიმღები, რასაკვირველია, ვერ ხდება ნაჩუქებ ნივთის მესაკუთრედ, რადგან ნივთი მჩუქებლისა არ იყო. ავიღოთ თუნდ ასეთი მაგალითი. ვინმე მდიდარმა თავის მოსამსახურეს აჩუქა ოქროს საათი. არავის არ დაუნახავს ეს. უეცრივ გარდაიცვალა მჩუქებელი. მისი მემკვიდრეები არამც თუ წაართმევენ მოსამსახურეს საათს, არამედ სამართალშიც მისცემენ, ქურდობას დასწამებენ. ან კიდევ: რომელიმე ნაცნობი ქალი ჩაგაცივდათ აჩუქოთ მას ძვირად საშოვარი სურათი. თქვენ არ გინდათ ამ სურათის ჩუქება, მაგრამ ქალმა იმდენი ხრიკები დაგიგოთ, რომ ეს სურათი დაგტყუეთ. თქვენ რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც გნებავთ, სრული უფლება გაქვთ კანონით ეს ნივთი უკან დაიბრუნოთ, [illegible]. მაგრამ როდესაც თქვენ [illegible] ნივთი, [illegible] და ისწრობთ მოწმეს, მაშინ სულ სხვაა. აი ეს ჩემი წიგნია, იღებს ხელში პროფესორი სამ. კან. კრებულს. მე მინდა რომელიმე თქვენგანს ვაჩუქო. მოდით რომელიმე ჩემთან, მიჰმართავს პროფესორი მსმენელებს, თვალის დახამხამებაზე მიიჭრება კათედრასთან ერთი ებრაელი სტუდენტი.—მოწყალეო ხელმწიფევ, მე მსურს ეს წიგნი თქვენ გაჩუქოთ, დაიჭით. ეუბნება პროფესორი სტუდენტს და აწვდის კათედრიდან წიგნს. სტუდენტი არ ართმევს, ეჭვით შეჰყურებს პროფესორს და ეკითხება;—ბ. პროფესორო, არ ჰხუმრობთ? პროფესორმა თავი გააქნია.—მაშ თქვენ მართლა გსურთ ეს წიგნი მე მაჩუქოთ? კვლავ ეკითხება სტუდენტი. პროფესორმა თავი ძირს დაჰკრა. ორივენი ერთმანეთს გაკვირვებით უყურებენ. სტუდენტები სმენად არიან გადაქცეულნი.

— დაიჭით, დაიჭით, ხელი დამეღალა, რისა გეშინიანთ? იმეორებს ღიმილით პროფესორი. სტუდენტი ეხლა კი ართმევს წიგნს, მადლობას უხდის და თავის ადგილზე მიდის „ნაჩუქებ“ ნივთით.

— აი როდესაც ამ სახით ხდება ჩუქება, მაშინ იგი კანონიერია. ამ მაგალითით მგონი კარგად უნდა დაიხსომოთ ჩუქების პირობები. ზარი დაირეკა ლექცია გათავდა.

— ბ. სტუდენტო, გთხოვთ დამიბრუნოთ ჩემი წიგნი!

— ბ. პროფესორო, აკი თქვენ მაჩუქეთ.

— არკი გაჩუქეთ, მაგალითი ფაქტიურად დაგანახვეთ.

— არა, არა, წიგნი კოლლეგასია უკვე ჰყვირიან სტუდენტები.

— ბ. სტუდენტო! მაშ არ მიბრუნებთ წიგნს? უკანასკნელად ეკითხება პროფესორი.

— არა, ბ. პროფესორო, რადგან ახლა ეს წიგნი კანონიერად მე მეკუთვნის.—ვაშა, ვაშა! ტაშს უკრავს მთელი აუდიტორია. სახტად დარჩომილი პროფესორი აწბილებული ამბობს:—მმმ... კარგი მაგალითი მოვიყვანე, და ზლაზვნით გადის აუდიტორიიდან.

**ეფ. სართანიძე.**

# ბალკანეთის ომი

## დეპეშები

**24 ნოემბერი.**

**საზავო მოლაპარაკება.**

**ხტამბოლი.** ნაზიმ-ფაშა დაიზტ-ფაშა სადემკიოდან მოვიდნენ. მონაწილეობა მიიღეს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე.

ეპირში ბერძნებსა და ოსმალებს შორის ბრძოლა სწარმოებს.

**ლონდონი.** ინგლისის მთავრობას შეატყობინეს ლონდონის ამორჩევა საზავო მოლაპარაკების ადგილად. მთავრობამ კმაყოფილება გამოაცხადა და მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობისთვის.

**სოფია.** „მირის“ აზრით ზავის ჩამოგდება აუცილებელი იყო. ბალკანეთი თავისუფლებისთვის იბრძოდა და არა დაპყრობისთვის. პირვე-

---

გვინით აღარ ივლიან კაცთმოყვარება და სათნოება“.

„აჩრდილში“ ილიას მიერ თანამედროვე ტფილისისა და „გმირთა სავანის“ მცხეთის დახასიათება იმდენად სავალალოა, რომ მკითხველის გულს მწარე ნაღველად ეფინება, რადგან იგი დახასიათება მწვავე სინამდვილეა; დღესაც კი „დაჟანგებულ ბორკილზე“ სცვლიან მათ თვისი შვილები და იქ, სად „წყარო უკვდავებისა სცემდა იაზმას ერის ცხოვნებად“, სად იდგა „ხე ცხოვრებისა“, „იგი დედა-ქალაქი ვრცელი აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა“.

მაგრამ პოეტს ღრმად სწამს, რომ ერი, რომელმაც საუკუნოებით იბრძოლა თვისი ვინაობის დასაცავად და თვისი პიროვნება მეცხრამეტე საუკუნის დაწყებამდის შეინახა, კვლავ აღსდგება და განახლებულს, საეროვნო ნიადაგზე დაფუძნებულს ცხოვრებას დაიწყებს.

და მყინვარზედ მუხლ-მოყრილი ილიას მოხუციც ხომ ქართველი ერის აღორძინებას შესთხოვს უზენაეს:

„მოჰმადლე ქართველს ქართველის
ნობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული.
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა“.

და „შვიდ ფეროვანი სარტყელი ცისა“ მსწრაფლ გადაეკრა პოეტის სამშობლოს და გახდა მისთვის „მახარობელი ტკბილ იმედისა“.

საერთოდ ეს პოემა ძლიერია როგორც ენით, ისე სურათის თანდათანობითი გადაშლით და მხატვრული დასურათების მხრივ იგი არ ჩამოუვარდება ჩვენი „ობოლი სულის“ გენიოსის ნ. ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“, რომელშიაც სოლომონ მსაჯულის თვითეული სიტყვა მაღალ აზროვნებითაა სავსე:

„მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა სულისკვეთებას
და უთრგუნიდე თავისუფლებას?
**შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება***),
რათა დაუცვა ყოფა ცხოვრება
და რად ივიწყებ, რომ მე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის“?

საყვედურის ასეთ სიტყვებს წარმოსთქვამს ბარათაშვილის მსაჯული ერეკლეს მიმართ იმ განზრახვის გამო, რომელიც ირაკლის გულს დიდი ხანია გადაეწყვიტა.

ილიას მოხუცი კი იმ დროს ეხება, როდესაც უკვე კარგა ხანია შესრულდა განზრახვა მეფის ირაკლისა და საქართველო სხვის კალთის ქვეშ შეეფარა. იგი მწარედ იგონებს იმ დროს, როდესაც საქართველოს შვილნი სამშობლოსათვის:

*) ხაზი ჩვენია.

„თვითონ საკვდილსაც ლხინად ჰხადოდენ
და თავდადებას მამულისათვის
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ“.
უკვე „გაჰქრნენ ის დღენი,
მაგრამ დღეს
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება“.

მწარედ ჰკიცხავს იგი მოხუცი საქართველოს შვილების დაცემა-დაქვეითებას და სულით ნატრობს იმ დღის დადგომას, როს ქართველები კვლავ აღიჭურვებიან მამა-პაპური სულით და გულით და როს „ქართველობა სასიქადულოდ ექმნება ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა“?

ეს პოემა ძლიერს შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე როგორც საქართველოს ბედის საერთოდ გათვალისწინებით, რომელიც პოეტს მართლაც დიდებულად აქვს გადმოცემული, ისე იმ დილის აღწერით, როდესაც „აღმობრწყინვებულმა მზემ“ თვისი პირველი სხივები სტყორცნა „ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ“ მყინვარს და „მისი ყინულით ნაკვეთი თავი მოჰრთო ოქროს სხივებით“.

საზოგადოდ მრავალ ფეროვანია ილიას შემოქმედება: მას ასაზრდოებს პოეტის სამშობლოს წარსული დიდება და აწმყო ბედშავი მდგომარეობა; მას იზიდავს თვისკენ ყმათა და საზოგადოდ ჩაგრულთა ბედკრული არსებობა; მას ჰხიბლავს ბუნების წარმტაცი მოვლენანი; მას აფიქრებს ადამიანის ცხოვრება და დანიშნულება და იგი კაცის ცხოვრებას „შანდლისა თავზედ ძლივს ბჟუტავს“ სანთელს ადარებს; როგორც სანთლისაგან მხოლოდ „მწვარი პატრუქი“ ღა დაგვრჩება, ისე კაცის სიკვდილის შემდეგ:

„მშვენიერი არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვერი“.
(„სანთელი“)

რასაც უნდა ეხებოდეს ილია თვის ნაწარმოებში, ყოველივეს მხატვრულად ჩამოსხმულ ფორმებში გადმოგვცემს, ნამდვილის ხელოვანის მადლით მოსილი მარჯვენით აგვიწერს და მის მხატვრულ აღწერასაც ნათლად აზის უმთავრესი მიდრეკილება მისი შემოქმედებისა; ყოველივეს მრავალჯერ განხილვისა და აწონ დაწონისა. ამასთანავე შეუძლებელია წარმოიდგინოთ ილია პოეტი, რომ ამავე დროს არ წარმოიდგინოთ ილია მოაზრე, რომლის ფიქრი და ზრახვა განუწყვეტლივ თავს დასტრიალებდა საქართველოს და რომელიც შენატროდა იმ „ვაჟკაცსა სახელოვანსა, ვისიც ხელი პირველად დასწვდებოდა“. **ბაზალეთის ტბაში** თამარ-დედოფლის მიერ ჩადგმულ აკვანს, რომელშიაცა:

„იქნება ის ყრმა წევს.
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე და ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?“
(„ბაზ. ტბა.“)

საუბედუროდ, დრო ნებას არ მაძლევს, შევეხო ილიას სხვა პოეტურ ნაწარმოებთ და იძულებული ვარ ნათქვამით დავკმაყოფილდე.

სწორედ ხუთი წლის წინედ ჩვენ „სამშობლო ცასა ბნელად გაშლილი გლოვის ზეწარი გადაეფარა:“ მოჰკლეს სამშობლოს ერთგული გუშაგი და მოამაგე ილია და საქართველოს სამარადისოდ წარუხოცელი სირცხვილი აჭამეს. სანუგეშებლად ისღა დაგვრჩენია, რომ ბევრ დიდ-ბუნებოვან ადამიანთ ასეთივე ბედი ეწიათ, ავიღოთ, თუ გინდ, საბერძნეთის დიდებული მხატვარ-მოქანდაკე ფიდიური, ზევესის შესანიშნავ ქანდაკების შემქნელი, რომელსაც თანამედროვეთ ცილი დასწამეს ოქროს მითვისებაში და საწამლავის მიღებით დაასრულებინეს წუთისოფელი, მაგრამ ის, რაც ჩვენ ჩავიდინეთ, ყველას აღემატება: ნაცვლად დაფნის გვირგვინისა, პოეტს მირონ-ცხებული შუბლი ცხელი ტყვიით გაუპეს.

როდესაც ქართველი ერი ძეგლს ადგამს ილიას საფლავზე, საჭიროა ცივი მარმარილო გაღვივებული და განცხოველებული იქმნეს მთელი ერის უწრფელეს შენანების გრძნობით იმ უდიდესი დანაშაულისა, რომელიც ქართველ ერს ილიას წინაშე მიუძღვის. მხოლოდ მაშინ ექმნება ძეგლის დადგმის თვის აზრი და მნიშვნელობა.

ქართველობას ორი ეროვნული პანთეონის მსგავსი ადგილი გვაქვს: დიდუბე და მთაწმინდა, რომელთაც თვის გულში ჩახუტებული ჰყავთ ჩვენი ერის მოწამენი და მოამაგენი; ყველა ქართველი ვალდებულია თვალის გუგსავით უფრთხილდებოდეს ამ ადგილთ, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც არვინ შეაშფოთოს ჩვენი სიამაყეთა განსვენება.

ვინ იცის, ეგებ საქართველოსაც გაუღიმოს ოდესმე ბედმა, ეგებ მისმა ცხოვრებამაც მიიღოს შესაფერისი მიმდინარეობა და მაშინ, უეჭველია, თვითეული ქართველი, ვის გულშიაც კიდევ იქმნება მამულის სიყვარული, პირველად აქ, დიდებულ საფლავთა შორის, მაირბენს და ღრმა მოწიწებით მოიყრის მუხლს ჩვენი ერის ძვირფას მოჭირნახულეთა საფლავთა წინაშე, და შეერთდება მის გულში მთაწმინდა „მთაიცხოველი“ დიდუბესთან განუყოფელ და განუთვისებელ ერთობით; და საფლავი დიდებული ილიასი კი მუდამ იქნება ჩვენი ერის ისტორიის იმ შავი ფურცლის გამხსენებელი, როდესაც საქართველოს მიდამო შეიღება მხცოვანის მოხუცის უმანკო სისხლით....

**ალ. წერეთელი.**

ლი მიზანი მიღწეული იყო. რაღა საჭიროა მაშ მის გაგრძელება. ბერლინის ტრაქტატის ნაკლი შეწირულია.

**სოფია.** „მირს" მოსწონს მოსალაპარაკებელ ადგილად ლონდონი.

**სტამბოლი.** ოსმალეთის დელეგატები ლონდონში მიემგზავრებიან 27 ნოემბერს. მესამე დელეგატად დანიშნულია ოსმალეთის ელჩი ლონდონში თეფიკ-ფაშა.

**ცეტინიე.** სკუტართან მყოფ ჯარს გამოუცხადეს დროებითი ზავის ჩამოვარდნა. ჩერნოგორის დელეგატები—მიოშკოვიჩი და პოპოვიჩი ლონდონში წავიდნენ.

### გაზეთებიდან.

#### დროებითი ზავი.

სტამბოლიდან იტყობინებიან დროებითი ზავის პირობებს: დროებითი ზავი დაიწყება დღიდან ხელისმოწერისა და გაგრძელდება მშვიდობიანობის სრულ დამყარებამდე, ან მოლაპარაკების შეწყვეტამდე. თუ მოლაპარაკება უშედეგოდ გათავდა, ან ერთ-ერთმა მხარემ არ მოიწონა დროებითი ზავის პირობები, ბრძოლის განახლება 48 საათით ადრე გაფრთხილების შემდეგ დაიწყება. მოლაპარაკებისა და დროებითი ზავის განმავლობაში მეომართა ჯარი იმ ადგილს დარჩება, სადაც ადრევე იდგა; სურსათისა და საომარი მასალის მომატება აკრძალულია. ალყაშემორტყმული ქალაქები: ადრიანოპოლი, სკუტარი და იანინა არ დანებდებიან; სურსათის შეტანა შეიძლება, ხოლო ახალი სიმაგრეების აგება კი არა. ოსმალეთი მოხსნის ზღვის სანაპიროების ალყას

#### მერხომლის ბრძოლის ამბავი.

ბულგარეთის ოფიციალური ბიულეტენი ასე აწერს მერხომლის ბრძოლას, სადაც ტყვედ წაიყვანეს იავარ-ფაშის მთელი ჯარი. კირჯალისთან დამარცხების შემდეგ, ოსმალთა 20.000 კაცი გუმულჯინისკენ აქ კი და მუდამ ემუქრებოდა ადრიანოპოლის მოალყე ჯარს. ბულგარეთის მთავარ-სარდალმა გადასწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო ამ ჯარის თარეშისათვის. შეადგა განსაკუთრებული კირჯალის რაზმი, რომელიც გუმულჯინისკენ გაემართა, ამავე დროს ცხენოსანთა ერთი რაზმი მდ. მარიცის ნაპირით წავიდა, რათა დედე-აგაჩისკენ გასაქცევი გზა მოეჭრა ოსმალთათვის. ამ რაზმებმა მრავალი შეტაკების შემდეგ, სოფ. მერხომლისთან მოამწყვდიეს იავარ-ფაშის ჯარი; მდებარეობა ვერ იყო ოსმალებისთვის ხელსაყრელი, მაგრამ იგინი იძულებული გახდნენ, დაეწყოთ ბრძოლა. ბრძოლამ ორ დღესა და ღამეს გასტანა და დამთავრდა ოსმალთა რაზმის სრულის დამარცხებით. იავარ-ფაშა, 265 აფიცერი და 12.000 ჯარის-კაცი ტყვედ წაიყვანეს ბულგარელებმა. არტილერია ადრევე მოესპოთ ოსმალებს; დავლად მხოლოდ 8 სამთო ზარბაზანი დარჩათ ბულგარელებს.

# ბალკანეთი და ევროპა

## დეპეშები.

**ბუქარესტი.** ბერძნები ძლიერ ავიწროებენ ვუცოვლახებს. ამის გამო რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მაიორესკუმ მოსთხოვა საბერძნეთის მთავრობას განმარტება.

**ვენა.** გაიმართა რუმინელების მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ ალბანელებიც. ალბანელებმა ცხარე სიტყვები წარმოსთქვეს ალბანეთის საკითხის თაობაზე. მიტინგმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა—მიჰმართონ ბერტჰოლდის თხოვნით, საბოლოოდ გამოირკვეს ბალკანეთის კრიზისი და დაკმაყოფილებულ იქმნენ მაკედონელი რუმინები და ალბანები.

**პარიზი.** ფორმულა „სტატუს-ქვო", სთქვა პუანკარემ პალატაში, ეხლა დაძველებულად გვეჩვენება. ბალკანეთის სახელმწიფოთა გამარჯვების ყოველი ნაბიჯი თანდათან გვაშორებდა ამ ფორმულას და მის დაცვას შეუძლებელს ჰყოფდა. რუსეთმა და საფრანგეთმა მაშინათვე თავისი თავი არა დაინტერესებულად გამოაცხადეს. რასაკვირველია, იმას კი არა ჰნიშნავდა, რომ რუსეთს და საფრანგეთს არავითარი ინტერესი აქვს. ბალკანეთში, ეს ჰნიშნავდა მის პოლიტიკის არა აგრესიულ ხასიათსო.

**სოფია.** სოფიის მცხოვრებმა რუზველტს სამადლობელო ადრესი გაუგზავნა, ბულგარების შექების გამო.

**პარიზი.** პუანკარეს სიტყვას საზოგადოება თანაგრძნობით მიეგება. პრესა ადარებს პუანკარეს და რეიხს-კანცლერის სიტყვას. პირველის სიტყვა არაფერში ჩამოუვარდება კანცლერის სიტყვას. პუანკარემაც აბედულად დაასახელა საფრანგეთის ნაციონალური ინტერესები ბალკანეთშიო.

### გაზეთებიდან.

#### გერმანიის კანცლერის სიტყვა

რეიხსტაგის გახსნისას, დიდძალ გარეშე ხალხის თანდასწრებით, გერმანიის საიმპერიო კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც საერთაშორისო მდგომარეობის საკითხს ეხებოდა. მან აღნიშნა დიდ სახელმწიფოთა მოქმედების ხასიათი ბალკანეთის საქმეებში და სთქვა, რომ თუმცა გერმანია პირდაპირ არ არის დაინტერესებული ბალკანეთის საკითხით, მაგრამ მის ხმას მაინც შესაფერი გავლენა უნდა ჰქონდეს, რადგან ეკონომიურ ინტერესების გარდა, ამას მოითხოვს ჩვენი მოკავშირეების (ავსტრია და იტალია) ინტერესებიო. თუ საკითხი იმდენად გართულდა, რომ რომელმამე სახელმწიფომ ომი აუტეხა ჩვენს მოკავშირეებს, გერმანია ვალდებულია გადაჭრით დაეხმაროს მათ და ამგვარად დაიცვას საკუთარი ქვეყნის ხელ-შეუხებლობა. კანცლერს პასუხი გასცა სოციალ-დემოკრატმა ლედებურმა. მან განაცხადა: გერმანია ალბანეთის დამოუკიდებლობას იცავს, რათა მის ტახტზე პრუსიის ერთ-ერთი უსაქმური პრინცი დასვას. მთელი ქვეყნის პროლეტარიატი მხარს დაუჭერს სერბიას, რომელსაც ერთი რამე ჰსურს—არ გახდეს ავსტრიის ლუკმაო.

#### ავსტრიის საომარი სამზადისი.

კრაკოვიდან ვარშავაში იტყობინებიან: დღე და ღამე სწარმოებს გაცხარებული მუშაობა ქ. კრაკოვის მიდამოების გასამაგრებლად. ციხეების წინ დიდ მანძილზე გაჩეხეს ტყეები, სთხრიან ევრეს წყალდებულებს „მგლის ორმოებს" და აკეთებენ ეკლიანი რკინის ხლართებს. ქ. ტარნობრჟეგში მოვიდა 33,000 კაცისაგან შემდგარი ჯარი. გალიციაში გადმოიყვანეს სამი კორპუსი. შავისა და მარმარილოს ზღვის გემებს ებრძანათ, ავსტრიის სანაპიროებისაკენ წამოვიდნენ. მოსალოდნელი ომის დროს მთავარ-სარდლად დანიშნეს ავსტრიის ტახტის მემკვიდრეს, ერცჰერცოგს ფრანც-ფერდინანდეს.

#### ჩეხელ დრაგუნების ამბოხება.

კრაკოვიდან იუწყებიან: ჩეხელ დრაგუნთა ორი სათადარიგო ესკადრონი აჯანყდა და განაცხადა, არა გვსურს საომრად წასვლაო. როდესაც აჯანყებულთა სამხედრო მატარებელი სადგურს მოადგა, პოლიციელები და ჟანდარმები შემოერტყნენ და დაატყვევეს. 24 კაცს ბორკილები დაადეს და კრაკოვის სამხედრო საპყრობილეში გაჰგზავნეს.

#### ავსტრიის ტაქტიკა.

„რუსკოე სლოვოს" ვენიდან ატყობინებენ: გრაფი ბერტჰოლდი ცდილობს მხოლოდ ელჩ ედლის მოხსენებას, რათა შესაფერად გამოიყენოს პროხასკის გაზვიადებული ინციდენტი და აიძულოს სერბიის მთავრობა, მალე გასცეს პასუხი ავსტრიის მიერ ადრიატიკის შესახებ აღძრულ საკითხზე.

#### სერბიის პროტესტი.

სერბიის მთავრობამ მიწერილობა დაუგზავნა თავის ელჩებს: მიაქცევინეთ დიდ სახელმწიფოების კაბინეთებს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ავსტრია განუწყვეტლად აძლიერებს ჯარს ჩვენს საზღვრებზე, მაშინ, როდესაც სერბიას ამისთვის არავითარი მიზეზი არ მიუციაო.

#### რუსინელ დეპუტატის დატუსაღება.

ლვოვიდან იუწყებიან: დაატუსაღეს გალიციის სეიმის დეპუტატი, მეთაური რუსული მოძრაობისა გალიციაში, დუდიკევიჩი.

#### იტალიის პრესა.

რომის გაზეთი „მესაჯერო" აღნიშნავს ბელგრადისა და პეტერბურგის მშვიდობიანობის მოყვარეობას და ამბობს:

— რას ესწრაფვის ვენის შხამიანი აგიტაცია? იმედი გვაქვს, რომ საქმე გამწვავებულ საფრთხემდე არ მივა, რომლის პასუხისმგებლობასაც იტალია ვერ გაიზიარებს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

## საზღვარ-გარედ

24 ნოემბერი.

**ვენა.** 14 სტუდენტს, რომელთაც დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებათ, გადაუწყვიტეს ორი კვირის ციხე. ერთი გაამართლეს, ერთსაც ერთი თვის ციხე მიუსაჯეს.

**მუკდენი.** პეკინიდან მანჯურიის ადმინისტრაციას მოწერილობა მიუვიდა, ზომები მიიღოს რუსეთის წინააღმდეგ მოძრაობის მოსასპობად.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს განყოფილებათა სხდომა დანიშნულია 24 ნოემბრისთვის.

**პეტერბურგი.** გაერთიანებულ თავად-აზნაურობის საბჭოს ნებადართეს მოიწვიონ მთელი რუსეთის მიწათ-მფლობელთა კრება სამეურნეო ინტერესების განსახილველად. ქალაქის უფროსმა დააჯარიმა „სატირიკონის" რედაქტორი 400 მანეთით, „დენის" რედაქტორი 500 მანეთით.

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა მინისტრომ მინისტრთა საბჭოში შეიტანა წინადადება დაარსონ ხუთი საელჩო ბუენოს-აირესში, პიტსბურგში, პენსილვანიაში, გონულულოში, კომეში და სიათლეში.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ „ნევსკაი ზვეზდას" რედაქტორს გადაუწყვიტა 2 წლის ციხე.

**ადესა.** საუკეთესო სასტუმროში დააპატიმრეს ვინმე ხიდნევი, რომელიც თავად დოლგორუკოვის სახელით სცხოვრობდა, ხიდნევს ბევრი ბოროტ-მოქმედება ჰბრალდება ჩადენილი მოსკოვში და საზღვარ-გარედ.

# უცხოეთი

#### ფალიერის მემკვიდრენი.

3 იანვარს 1913 წელს ვერსალის დარბაზში მოხდება სენატის და დეპუტატთა პალატის კონგრესი, ახალი პრეზიდენტის ასარჩევად. ეხლა ამ ამბავს ძალიან გულგრილად უყურებენ და ბალკანეთის ომმა თითქოს დავიწყებას მისცა ეს ფრიად ღირს შესანიშნავი მოვლენა, საფრანგეთის რესპუბლიკისა. ფალიერის მოადგილედ ბევრს ასახელებენ, კანდიდატებს შორის მოხსენებული არის კლემანსოც.

დიდად შესაძლებელია პრეზიდენტად აირჩიონ ლეონ ბურჟუა. იგი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეა. სხვაზე ბევრ ხმას, ბურჟუა უფრო შეაგროვებს. მის მხარეს არის როგორც კონსერვატორთა ბანაკი, აგრეთვე მემარცხენეთა ბანაკიც. ბურჟუას არჩევა ფორის, ლუბესა და ფალიერის არჩევნების დროსაც უნდოდათ, მაგრამ უარს ამბობდა.

მეორე შესაძლებელი კანდიდატი არის რიბო, ყოფილი პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი. დემოკრატია რიბოს არ უყურებს კეთილი თვალით, რადგანაც იგი ძლიერ ახლოს დგას კლერიკალებთან.

ლუბეც და ფალიერიც ჯერ სენატის პრეზიდენტად იყვნენ და შემდეგ აირჩიეს რესპუბლიკის პრეზიდენტად. ეს მოვლენა ტრადიციად გარდაიქცა. ამისთვის მოსალოდნელია პრეზიდენტობა დებიუსტს ერგოს, რადგანაც ისიც სენატის პრეზიდენტია, გარდა ამისა დებიუსტოს მხარეს არის კლემანსო და ყველა ის, ვინც საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგია.

ასახელებენ პუანკარესაც. პუანკარე ჯერ ძლიერ ახალგაზრდაა, და მომქმედი კაცია, რომ თავი დაანებოს აქტიურ თანამდებობას, მინისტრთა მეთაურობას და მიიღოს მხოლოდ უმოქმედო თანამდებობა—საფრანგეთის პრეზიდენტობა. პუანკარემ რამდენჯერმე უარი განაცხადა პრეზიდენტობაზე.

არის კიდევ ერთი კანდიდატი—პოლი დებნელი, მილიონერი: იგი ყველასთან მეგობრულ ურთიერთობაშია. თავისი პოლიტიკური „მე" არსად და არა დროს არ გამოუჩენი. ერთ დროს დებნელი პალატის პრეზიდენტის ბრისონის მეტოქედ იყო.

ვის დარჩება ამათში გამარჯვება წინადვე გამოცნობა ძნელია.

# თეატრი და ხელოვნება

დღეს, 25 ნოემბერს, დილით ქართულ თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პატივცემულ მგოსნის აკაკის ცნობილი 5 მოქმედებიანი დრამა „პატარა კახი".

**სახაზინო თეატრში.** 3 დეკემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო **საქალებო სკოლის სასარგებლოდ** დანიშნულია წარმოდგენა. წარმოდგენა. წარმოადგენენ ოპერას „ჰუგენოტები". მონაწილეობას იღებენ საოპერო დასის საუკეთესო ძალნი ბ-ნ ი. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. ადგილების ფასი ჩვეულებრივია, გარდა ლოჟებისა, გვერდის პირველ იარუსისა და პარტერის პირველ სამი რიგისა. ბილეთების მიღება შეიძლება სკოლის საბჭოს თავმჯდომარე **კნეინა მარ. ვახტ. ორბელიანისას** (ნიკოლოზის ქუჩ. № 66) ბილეთები არავის არ გაეგზავნება.

**სახალხო სახლი. ნიკო გოცირიძის ბენეფისი.** ოცი წელიწადი მეტი იქნება მას შემდეგ, რაც ნიკო გოცირიძე სახალხო სცენაზე გამოვიდა. ამ ხნის განმავლობაში რა შრომა არ განუცდია ნიკოს, რა ტანჯვა-წვალება და უსიამოვნება არ უნახავს მას, რა სიხარული და ბედნიერება არ უგრძვნია!.. მაგრამ საბედნიეროდ სჩანს სიამოვნება წასჰარბებია უსიამოვნებას, რომ ნიკო დღემდის თავის „პოსტზე" სდგას და ნაყოფიერად ემსახურება სახალხო თეატრს.

რა იყო ნიკო სახალხო თეატრისათვის, ამის მოწმენი არიან ისინი, ვისაც ნიკო უნახავს ავჭალის სახლის ანუ რკინის გზის სახელოსნოს სცენაზე: იგი იქ არამც თუ მარტო საპასუხისმგებლო როლის აღმასრულებელი იყო, არამედ ამასთანავე იყო უბრალო მუშა, სცენის დამგველი, დეკორაციების ამღებ-დამდები, სკამების რიგზედ დამწყობი, ხშირად რეჟისორი, ორი როლის ერთ საღამოს შემსრულებელი, და თუ გნებავთ, ერთსა და იმავე დროს სუფლიორიც... თქვენ შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ასე კია, თავისი როლის მუდამ კარგად მცოდნე ნიკო ხშირად სცენაზე ამხანაგ სცენის მოყვარეს „სუფლიორობდა" და მის სათქმელ სიტყვებს აწვდიდა. თვალით ანიშნობა და ფეხების ბაკუნი ხომ ხშირად ყოფილა, როდესაც სცენაზე რომელიმე ამხანაგი და გვიანებდა და მით სცენას „გააცივებდა"... აი დაახლოვებით რა იყო ნიკო სახალხო სცენისათვის წარსულში. ხოლო რა არის იგი დღეს მისთვის, ამას თქვენის თვალით დაინახავთ ხვალ, 26 ნოემბერს.

ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულმა წრემ გადასწყვიტა გადაუხადოს ხვალ ნიკოს პატარა დღესასწაული და მით საშუალება მისცეს ხალხის საყვარელ სცენის მოყვარეს სამაგიერო მადლობა მიულინოს უანგარო და ხანგრძლივი შრომისათვის და იმ სიამოვნება სიტკბოებისათვის, რომელიც ნიკოს ხელოვნური თამაშით მას განუცდია.—არა ერთხელ ჰქონია ნიკოს შემთხვევა უკეთესად მოეწყო თავისი პირადი ბედნიერება, ხალხის შექმნილი ხალხშივე დარჩა, ემსახურებოდა და ემსახურება სახალხო თეატრს, ავრცელებდა და ავრცელებს ხალხის ფართო მასსაში ამ ერის იმედში—ქართულ სიტყვიერებისა და ხელოვნებისადმი სიყვარულს. ჭეშმარიტად საპატიო როლია!

მაშ ვუსურვოთ ნიკოს დიდხანს ასე მედგრად და ასე ნაყოფიერად კიდევ აასრულოს თავისი საპატიო როლი! იმედია სახალხო სახლის მუდმივი აუდიტორია დააფასებს ბ-ნ ნ. გოცირიძის შრომას და წარმოდგენაზე დასწრებით თავის თანაგრძნობას გამოუცხადებს მობენეფისეს. **ნაცნობი.**

**ზუბალაშვილის სახალხო სახლში** დღეს, დილის 11-ნახ. საათზე ი. ფ. **პალმოვი წაიკითხავს რუსულად ლექციას.** ნეკრასოვის პოეზია და მისი საზოგადოებრივი მხატრული მნიშვნელობა.

**სამუსიკო დილა**, ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლის მოწაფეთა, დანიშნულია დღეს, 25 ნოემბრისათვის **ახალი კლუბის დარბაზში** (სასახლის ქუჩა) დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

**ავლაბრის თეატრი.** დღეს, 25 გიორგობისთვეს, ავლაბრის სახალხო თეატრში „ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის" სცენის-მოყვარეთა მიერ ი. ივანიძისა და ალ. შანშიაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები". ფრანც მორის როლში გამოვა ა. შანშიაშვილი, კარლოსისაში—ი. ივანიძე.

**ქ. ბათუმი.** 21 ნოემბერს შმაევსკის თიატრში „მოგზაური"-ს დასის მიერ პირველად წარმოდგენილ იქნა ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე"? დრამა ხუთ მოქმედებად. სცენა აღებულია გურულთა იმ ახლო წარსული დროიდან, როდესაც ბათუმელი ერთი მცხოვრებელი მ. მ. ადგენდა გურულთაგან შემდგარს მოჯირით ცხენოსანთ ამერიკაში წასაყვანად. და აი ამ დროს ერთს ხელ მოკლე გურულს—სიკოს დედა ძალას ატანს და აიძულებს რომ წავიდეს ამერიკაში, რათა იქიდან აღებული ფულით მოაწყოს თავისი ოჯახი.... სიკოს თუმცა ძალიან ეძნელება მიტოვება ცოლისა და „ბაბუასი", მაგრამ მაინც მიდის და 2 წლის შემდეგ ისევ ბრუნდება, მაგრამ მას აღარ დაუხვდება ცოცხალი თავისი ბაღანა და საყვარელი „ბაბუა", რომელიც ურჩევდა მას არ წასულიყო ამერიკაში.... ორი წლის ამერიკაში ყოფნის დროს სიკო ცოლს—ფატის შეაცდენს მეზობელი არსენა, და როცა სიკო ამ ამბავს გაიგებს ცოლს სასიკვდილოდ იმეტებს, მაგრამ თითონ ქალი მოასწრობს—გარბის და წყალში თავს იხრჩობს.... ამით თავდება დრამა...

პიესა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე და სიცხადით თვალ-წინ გიხატავთ გურულთა ბეჩავ ცხოვრებას.... მესამე მოქმედებაში სიმინდის რჩევის დროს გურულ „ხელ ხვავს" მღერიან, რაიცა სასიამოვნოდ რჩება მაყურებელს...

ჩვენის შეხედულობით მეოთხე მოქმედება, რომელიც სულ 7—8 წამი გაგძელდა, რაღაც არა ჩვეულებრივი იყო—ეს მოქმედება ან უნდა სულ გამოტოვებულიყო ან შეერთებულ იყოს წინა ან შემდეგ მოქმედებასთან...

სალიხე (წუწუნავა) როგორც ბუნებრივი გურული-დიქციით და მოქმედებით, მშვენიერად დაგვიხატა გურულ მოჭირნახული, მაგრამ მეტად კაპასი დედაკაცის სურათი, რომელიც შვილსაც-კი იმეტებს შორეულ ამერიკაში, ოღონდ კი იქიდან აღებული ფულებით მოაწყოს სახლ-კარი და გაიშენოს „ოდა"...

ამისი ვაჟი სიკო (დადიანი) შეუდარებელი იყო, მეტადრე უკანასკნელ მოქმედებაში, როცა ის ამერიკიდან ბრუნდება და ცოლის ღალატს გაიგებს. ის ამ დროს გამძვინვარებულ ლომსა ჰგავდა, დედასაც კი არ ინდობს წამოაქცევს და დახრჩობას უპირებს, რად გამგზავნე ამერიკაშიო, და არც ცოლი პატიოსნად შეუნახა... სიკო წაუკიდებს ცეცხლს ოდას და ჰბუგავს, რადგან ეს ახლად აშენებული ოდა არ მოსწონს—იჯავრება და „ბაბუას" გაყიდულ სახლისთვის სწუხს... არსენას მეზობლის (მურუსიძე) არა უჭირდა-რა, რომ კილო გურული ჰქონოდა...

მოხუცი სიკოს ბაბუა (კორიშელი) როგორც ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ყოველთვის დაკვირვებული ამსრულებელია თავისი როლისა... ფატი (ანდრონიკაშვილი) ხომ განხორციელებული ტიპი იყო გურულ—გაუბედურებულ ქალისა.

დანარჩენებსაც არა უშავდათ-რა; ამიტომ საუცხოოდ ჩაიარა ამ ახალმა პიესამ. საზოგადოება ძალიან ბევრი დაესწრო. წარმოდგენის წინ ილია ნაკაშიძემ განმარტა მწერლობის მნიშვნელობა საზოგადოდ და კერძოდ სათეატრო ხელოვნებისა და მოკლე შინაარსი—წარმოსადგენ პიესისა, რაიცა უფრო ადვილ გასაგებ ჰყო საზოგადოებისათვის... დასასრულ სცენაზე გამოიწვიეს ავტორი პიესისა ქ-ნი ნ. ნაკაშიძე, რომელსაც მოკლე სიტყვით მიესალმა შ. დადიანი, მიართვეს ცოცხალი ყვავილები.

წარმოდგენა ღამის პირველის ნახევარზე დასრულდა.

შემდეგი წარმოდგენა 27-ს ნოემბერს დაიდგმის „პირინეის" მგელი კორიშელის საბენეფისოდ.

**ტრ. ი—ძე.**

# წერილი რედ. მიმართ

ქართულ გიმნაზიასთან ღარიბ მოწაფეთათვის არსებულ უფასო სასადილოს შემოსწირეს ქ-ნმა ალექსანდრა მიხეილის ასულმა ვოლკოვისამ 25 მანათი, განსვენებულ კნეინა ანნა მიხეილის ასულ სუმბათაშვილის ხსოვნისათვის, და ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობამ 50 რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუცხადებთ. **გამგეობა.**

ბ. რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გაზეთის მე-756 ნომერში ამოვიკითხეთ, რომ განსვენებულის პროფესორის ალ. სოლ. ხახანაშვილის ნათესავებს განუსაჩივრებიათ მისი ანდერძის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მის კუთვნილ სახლს და მიწას, ანდერძით გადაცემულს გორის ქალაქის თვითმმართველობისათვის, ქართულ უფასო სკოლისათვის. ალექსანდრე ხახანაშვილის მახლობელი ნათესავები ჩვენც გახლავართ, მაგრამ დიდად პატივცემულ ალექსანდრეს ანდერძის დარღვევის სურვილი არცა გვქონია და არც გვიფიქრია, რადგანაც, ჯერ ერთი- მისი ანდერძი იმდენად სიმპატიურია, განსაკუთრებით ის ნაწილი იმისი, რომლის განსაჩივრებაც უფიქრიათ მისს ნათესავებს, რომ ამ ანდერძის წინააღმდეგ წასვლა ჩვენ არა საკადრის საქმეა მიგვაჩნია, [illegible] ჩვენ ალექსანდრე ხახანაშვილს ისეთს დიდს პატივსა ვცემდით, რომ მისი უკანასკნელი სურვილი ჩვენთვის წმინდა და უცვლელია.

პატივისცემით **კონსტანტინე თომას ძე ხახანაშვილი, ვასილ თომას ძე ხახანაშვილი,**

პატივცემულო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ „სახ. გაზეთი"-ს მახლობელ ნომერში დამისტამბოთ შემდეგი:

ბევრს ჩემს მეგობარსა და ნაცნობს ჰგონია, რომ მე „ქართლი"-ს რედაქციაში ვმუშაობ. ზოგნი წერილებს ამ გაზეთის რედაქციის სახელობაზე მიგზავნიან, ზოგნი კორესპონდენციებს მაწვდიან-გაასწორე და თქვენს გაზეთში დაბეჭდეო და თანამშრომლობას მპირდებიან, ბევრი შეკითხვით მომმართავს ხოლმე-როგორ მიდის თქვენი გაზეთის საქმე, რამდენიმე სახ. სკოლის მასწავლებელი სას. აკადემიის სტუდენტი შემეკითხა პირადად, როგორც „ქართლის" წარმომადგენელს-ღირს თუ არა ამ გაზეთის გამოწერაო.

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ მე „ქართლი"-ს რედაქციაში არ მიმუშავნია (თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ პირველ ხანებში გარედან ერთი-ორჯერ წავეხმარე), არა ვმუშაობ, არ ვიმუშავებ და არც არავითარ დამოკიდებულებას დავიჭერ, ვიდრე გაზეთი ორპირობის ნიღაბს არ ჩამოიხსნის და გარკვეულ მიმართულებას არ დაადგება. ვსთხოვ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

**სანგანიძე.**

ბ-ნო რედაქტორო!

**სოფ. კარდანახის სამკითხველოს სახლის ამშენებელი კომიტეტი** გთხოვთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ გულითადი მადლობა ყველას, ვინც კი გაუწია დახმარება ფულით ან ნივთებით, ხსენებულ საქმის დაბოლოვებას.

**ფულად შემოსწირეს:** ათი თუმანი განსვენებულის დავით სარაჯიშვილის მეუღლემ ეკატერინემ; თითო თუმანი: სვიმონ ფორაქაშვილი, ალექ. პ. სარაჯიშვილი, დავით ფორაქაშვილი, კნ. ქეთევან აფხაზი, კნ. ანასტასია აფხაზი, ბუდან ევანგულოვი; ხუთ-ხუთი მანეთი: ნინო ბერელაშვილი; ხუთი და ათი შაური: გიორგი ფორაქაშვილი, X—5 მან. 85 კ.; ხუთ-ხუთი მანეთი: ზაქარია ფორაქაშვილი, იოსებ ჩიტოშვილი; ოთხი მანეთი: მასწავლ. ნადეჟდა მირიანაშვილმა; სამ-სამი მანეთი: კნ. ლიზა ვაჩნაძისა, თამარა X—მა, კიკო გულიაშვილი, ივანე ტურიაშვილი, ანტონ ალავიძე; ორ ორი მანეთი: ილიკო დურგლიშვილი, ესტატე სეხნიაშვილი; თითო მანეთი: ნინო რატიევი, თამარა კვეზერელი—კოპაძე, დარია ვაჩნაძე, მაკრინე ფორაქაშვილი, შაქრო ჩიქოვანი, ნიკა ზურაბოვი, გიო ტაბახმელაშვილი, სანდრო გ ლიაშვილი, მიხა პატარქალიშვილი, სიმონ ვაჩნაძე; ათ-ათი შაური: ტიტიკო მარტაშვილი, იაგორა რაზმაზიშვილი, სანდრო მარტაშვილი, დვთისო ინდაშვილი, ვასილ ლომიძე, გასპარ არუთინოვი, გიგოლ არუთინოვი, რაჟდენა ხელაშვილი, სიკო ხელაშვილი, გიკო სამადაშვილი, ივანე ტურიაშვილი, ლადო გულიაშვილი, საქულ მღებროვი, გიორგი ტერ-სტეფანოვი, იაგორ ჩალაჯაშვილი, გიო ფხაქიაშვილი, ზურია ბედინაშვილი, ვანო ბედინაშვილი; Кузьма Петровъ; Петръ Лактіоновъ Михаилъ Сотниковъ; ლევანა ტურიევი; დავით გულიაშვილი; ორი აბაზი ნიკოლოზ ბასილაშვილი; თითო აბაზი: ალექ. შაკიაშვილი; მიხეილ მარტაშვილი; შაქრო ვარამაშვილი, ნასყიდა აჯიაშვილი, რევაზ თანდოშვილი, შაქრო ტაბახმელაშვილი, ალექსი ბასილაშვილი, ქიტა ქაჩლიშვილი. ექვსი შაური: კოტე ყიფიანშვილი; სამ-სამი შაური: იასონ სულაძე; ორ-ორი შაური: მიხეილ ტურიევი; ათი შაური: ელისაბედ X—მ; სამკითხველოს სასარგებლოდ გამართულის ლატარია-ალეგრიისთვის შემოსწირეს ნივთები: მიხეილ ივანეს ძე სესიაშვილის და კატო ილიაშვილის მიერ შეგროვილი ქ. ტფილისში ს. კანანოვის დახმარებით 30 ნივთი; მიხეილ ასატუროვმა ნივთები ხუთი მანეთისა და 15 კაპ. თითო ნივთი: [illegible]ანა ვაჩნაძე, ნინა ვაჩნაძე, შაშა [illegible]ოშვილი, ელენე მამიაშვილი, [illegible] ახმეტ[illegible]ლოვი, თიკო ვაჩნაძე, კნ. ნადო ვ[illegible]ნაძე, თინათინ [illegible]. ას. ვაჩნაძე, კნ. ნადო ვაჩნაძე, კნ. ანნა ვაჩნაძე, მარიამ გოდერძიშვილი, ალე[illegible] ზაქა-

ლის ძე ვაჩნაძე, ნინო ათანეს ასული ვაჩნაძე, დარია ალექსანდრეს ასული ვაჩნაძე, კნ. თებრო ვაჩნაძე, კნ. ვარო ვაჩნაძე, კნეინა ნენე ვაჩნაძე, სიკო ვაჩნაძე, კატუშია ვაჩნაძე; ოთხი ნივთი ვარო ვაჩნაძე, ოთხი ნივთი კნ. მაკო ვაჩნაძე; 10 ნივთი კნ. მარიამ ჯანდიერი, 10 ნივთი ანნა მოსულოვმა, 22 ნივთი თიკო ფორაქაშვილმა, 22 ნივთი მარიამ გიორგის ასული ზირახოვი; ერთი ნივთი ნადო მირიანაშვილი და ერთიც ნინო გოგოლაშვილი; საანგარიშო წელში სამკითხველოს სასარგებლოდ გამართულ გასართობებიდან შემოვიდა: ლოტოებიდან 52 მან. 16 კაპ., ილიას სალამოდან 23 მან. 16 კაპ., ცხრა მკათათვეს გამართულ წარმოდგენიდან 20 მან., ლატარიის დროს შემოსწირეს 40 კ., სამკითხველოს ძველი შენობის გაყიდული ფასი შემოვიდა 100 მან., მამასახლისმა ვანო ყოინაშვილმა გადმოსცა 2 მან., გაყიდულის ძველი გაზეთების საფასური 2 მან. და 40 კაპ., ლატარია-ალეგრის შემოსავალი 93 მან. და 97 კაპ., მთელი ჯამი 532 მან. და 73 კაპ., გასავალი იყო 32 მან. და 70 კაპ., დარჩა 500 მან. და 3 კაპ., სამკითხველოსი ჰმართებთ ოვად ილია იოსების ძე ანდრონიკოვს 45 მანეთი და კნ. ელენე იაგორის ასულს ვაჩნაძეს 85 მან. და სრულიად 630 მან. და 3 კაპ.

თავმჯდომარე გამგეობისა **კნ. ქეთევან აფხაზი.**

საქმის მწარმოებელი მღვდ. **ალექ. ზირახოვი.**

წევრნი: **მასწ. ნ. გოგოლაშვილისა. კ. დარაშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა
(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, შუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** № № 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვოდან სურამში: სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვოში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებ-ბში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშ. 5 ს. 20 წ.

**ბათომიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, შუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 41, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

# გემების მიმოსვლა
(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტრახს**, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 10 ს. 5 წ.
**ასტრიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

**უფასო სამკურნალო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სიდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1. ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქანთარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
ი. 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# განცხადებანი

**დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი**

**ვღებულობ საკერავს**

**ქალებისა და ბავშვების კაბებს.**

საქმეს ვაბარებ სუფთად, საჩქაროდ ძრიელ ნაკლებ ფასად აგრეთვე **ვიყვან შეგირდებს**, ვასწავლი მორიგებით დაგვარად.

**მისამართი** ჭავჭავაძის ქუჩა № 12 **ხომასურიძე.** 1603.

**ფეხსაცმელები**

**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.



683.

**საბურთალოზე**
(ჩანიშვილის სახ.)
— იხსნება —

**აფთიაქის საწყობი,**

**სადაც მოიპოვება ყოველგვარი ნივთები.**

იქვე იმყოფება **ექიმი და ფერშალი.** ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე 11½ ს. 1 ს.-დე.

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“—11—12 ს. შეშხაპუნებაა კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგაბაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღნინა:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეგტაბეგნცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბეგტაბეგნცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ნავასარდიანი.** 1078

# ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симонвой. Бульварны пер., 2, соб. д. 3121

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**იყიდება შემდეგი წიგნები.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ი. გოგებაშვილისა ბურჯი ეროვნებისა . . . . . | 20 კ. | კრილოვის არაკები . . . | 50 |
| „ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები | 1 მ. | კლდიაშვილის მოთხრობანი | 30 |
| „ საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა . | 10 კ. | ნაწყვეტები ქართ. ლიტერატურიდან | 50 |
| „ ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად . . | 5 კ. | რუს.-ქართ. ლექსიკონი ჭიჭ. 2 მ. | 40 |
| „ Методическое руководство для учителей и учительницъ | 40 კ. | რობინზონ კრუზო . . . | 30 |
| გაბაშვილი ეკ. თხზულებანი | 1 მ. 20 კ. | **ახლად მიღებული წიგნები:** | |
| გულივერის მოგზაურობა . | 30 „ | Къ Матеріаламъ по исторіи и древн. Грузіи и рос. Джанашв. | 1—2 |
| ერისთავი რ. თხზულებანი წ. II | 40 „ | Крестьянск вопросъ въ Закавказьѣ Аваліани . . | 2—5 |
| თხზ. ვაჟა-ფშაველასი. . . | 1 მ. — | О др вне-грузинскихъ лѣтописцахъ XI стол. Какабадзе . | 35 |
| ვეფხის ტყაოსანი . . . . | 60 „ | Кавказскіе депутаты въ 3 eiи Гос. Думѣ . . . . . . | 50 |
| | | შავი ქვა. წუწუნავასი. . . | 10 |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, **ქვირითის** (კეთოვ.) **ხიზილალა**

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძევეელოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

1131

**გამოსული ქერჩის სელიოტკები**

და ყოველგვარი

**კონსერვები.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**შავი ხიზილალა**

# იმერული შამპანიური ღვინოები,

**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში,

**„კოლხიდა“ და „თამარა“**

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **გუდვილის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სკასტრონომიო მაღაზიაში და**
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ბ. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 660

**Если Вы за небольшія деньги хотите имѣть** для себя или Вашихъ дѣтей много хорошихъ книгъ, дающихъ возможность пополнять образованіе и способствовать саморазвитію, знакомящихъ со всѣми новинками науки, литературы и современной цивилизаціи, дающихъ серьезныя и полезныя на практикѣ свѣдѣнія; если Вы хотите знать все, чѣмъ интересуется міръ, правду о русской жизни и политикѣ, то выпишите извѣстный, всегда выполняющій свои обязательства (издается одиннадцатый годъ) журналъ

**8 р. безъ перес. 9 р. съ перес. въ годъ**

(Редакторъ-издатель В. В. Битнеръ)

# Вѣстникъ Знанія

Метц. № 151256.

Въ 1913 году подписчики „Вѣстн. Знанія“ получаютъ: **52 №№** еженедѣльной иллюстрир. газеты-журнала

**НЕДѢЛЯ**

„Вѣстн. Знанія“, знакомящей со всѣмъ совершающимся на свѣтѣ (политика, міровыя событія, новости литературы) и освѣщающей народныя нужды. Главная задача „Недѣли“ — не скрывать правды отъ народа. Въ „Недѣлѣ“ даются подписч. безплатно юридическ., образовательн. и др. совѣты. (Можно „Недѣлю“ выписывать и отдѣльно отъ „В. Зн.“ Цѣна въ годъ 3 р., четверть года 75 к.).

**12 книгъ „Вѣстн. Зн.“,** ежемѣсячнаго иллюстрированнаго журнала, въ общедоступной формѣ знакомящаго съ прогрессомъ человѣчества. **Отдѣлы:** естественно-научный, историко-географич., соціально-экономич., философіи, математики, психологіи, педагогическій, литературно-художеств. (съ отдѣльными цвѣтными **картинами**), критическій, сельско-хозяйств., новыхъ изобрѣтеній, юридич., медицинскій, познанія Россіи, **популярно-научный,** одинаково интересный взрослымъ и дѣтямъ старшаго возраста. Сотрудники журнала и приложеній — профессора и извѣстные литераторы—дѣлаютъ „Вѣстн. Знанія“ единственнымъ **дѣйствительно научнымъ, но популярнымъ журналомъ.**

**Въ приложеніяхъ** къ „Вѣстнику Знанія“ дается **цѣлая библіотека по всѣмъ отраслямъ знанія:** 1) ДЕСЯТЬ ЛѢТЪ КУЛЬТУРНОЙ РАБОТЫ“. Альбомъ портретовъ и картинъ, виды и проч. съ описаніемъ. (Это приложеніе получатъ только подписавшіеся не позже января). 2) **ИЛЛЮСТРИРОВ. ИСТОРІЯ УКРАИНЫ, проф. Грушевскаго,** въ 4-хъ выпускахъ. 3) **ЛЕКЦІИ по ЕСТЕСТВОЗНАНІЮ и ФИЛОСОФІИ, проф. Геккеля.** 4) **ОБЩЕСТВЕННО-ЭКОНОМИЧЕСКІЕ ИДЕАЛЫ НАШЕГО ВРЕМЕНИ проф. М. И. Туганъ-Барановскаго.** 5) **ГИГІЕНА ДУХА.** Физіологія мозга. Гигіена ребенка, мужчины, женщины. Половой вопросъ и пр. проф. Клесто а съ дополнен. **проф. Фореля,** въ 2-хъ выпускахъ. 6) **ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ ФИЗИКА, проф. Бернштейна.** 7) **ПСИХОЛОГІЯ и УЧИТЕЛЬ.** д-ра Мюнстерберга или др. 8) **СОЧИНЕНІЯ ЛОПЕ-ДЕ-ВЕГА:** „Доротея“, „Любовь и честь“. 9) **КАВКАЗСКІЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ АЛЬМАНАХЪ.** 10) **ЛАТЫШСКІЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ АЛЬМАНАХЪ.**

**Сверхъ того подписчики, въ зависимости отъ избраннаго ими абонем.** (при подп. указывать № абонем.), **получатъ слѣд. капитальныя сочиненія:**

**1-й абонементъ:** 12 вып. иллюстр. біографич. библ. отеки

**ВЕЛИКІЕ ЛЮДИ,**

жизнеописанія знамен. людей всѣхъ временъ и народовъ, со статьями по экономикѣ, политикѣ и пр. проф. М. Ковалевскаго, проф. Туганъ-Барановскаго и др. Много рисунковъ и отдѣльныхъ цвѣтныхъ картинъ.

**Сочиненія Ч. ДАРВИНА:** Кругосвѣтное путешествіе на кораблѣ Бигль.— Въ 4 выпускахъ съ рисунками.

**2-й абонементъ:** въ 16 выпуск.

**МІРОВАЯ ЛИТЕРАТУРА.**

Литер. китайцевъ, японцевъ, египтянъ, индусовъ, персовъ, евреевъ, арабовъ, грековъ, римлянъ, кельтовъ, германцевъ, возрожденія Италіи, Англіи, Франціи, Испаніи и др. Литература славянъ: чеховъ, поляковъ, русскихъ, болгаръ и др. Роскошн. изд. со мног. рисунк. и около 60 отдѣльныхъ картинъ и хромотипій.

**3-й абонементъ:** въ 16 выпускахъ

**КНИГА ПРИРОДЫ**

**и ЧЕЛОВѢЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ.**

Солидн. трудъ въ 9 част.: ч. I и II. Пространство и время, бар. Швейгеръ-Лерхенфельда; ч. III. Мельница жизни, проф. Оствальда; ч. IV. Колыбель жизни, проф. Шенихена; ч. V. Обитаемые міры, проф. Мейера; ч. VI—IX. Психологич. эволюція человѣчества, проф. Вундта. Роскошн. изд., около 600 рис. и 60 отд. картинъ и хромотипій. (Въ книжн. маг. б. ст. 15 руб.).

**4-й абонементъ:** 12 выпусковъ

**СВОДЪ ЗАКОНОВЪ,**

**4 вып. ПРАКТИЧЕСКОЙ ЭНЦИКЛОПЕДІИ** (руководство по ремесламъ, хозяйству, домоводству, полезные рецепты и пр.). Въ 1913 г. въ этомъ изд. будетъ дана книга **ПРАВА РУССКАГО ГРАЖДАНИНА,** какъ ихъ опредѣлять, какъ ихъ осуществлять, какъ ихъ отстаивать. Съ образц. прошен. и пр. Сост. прис. пов. **П. А. Брюнелли.**

**5-й абонементъ:** въ 16 выпускахъ

**ИЛЛЮСТРИРОВАННАЯ ИСТОРІЯ РЕЛИГІЙ**

съ древнѣйшихъ врем. до нашихъ дней, проф. **Шантепи-де-ля-Сосей.** Роскошное изданіе, около 600 рис. и 60 отдѣльныхъ картинъ и хромотипій. (2 большихъ тома).

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА** на „Вѣстн. Знанія“ съ газ. „Недѣля“ и всѣми прилож. въ годъ **8** руб., съ перес. **9** руб., за границу (черезъ загран. почтамты) **12** руб. При подпискѣ на „В. Зн.“ со всѣми прилож. и „Недѣлей“ допускается разсрочка: при подпискѣ **3** р., 10 марта, 10 іюня и 10 сент. по **2** руб.

**ПРЕМІЯ:** Вносящіе всѣ деньги до января имѣютъ право на премію книг. на 2 р. (по особ. катал.), уплачивая лишь за перес.

**Адресъ: С.-Петербургъ, Невскій пр., 40, Контора „ВѢСТНИКА ЗНАНІЯ“.**

1610.

# გამოვიდა და იყიდება

# არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

| | | |
|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრიობა“ „ | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი“ „ | 65 კ. |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც.“–„შრომაში.“ 1901—1902 წ. „ | 85 კ. |

# მუხრანის კერძო სამკურნალო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თელ ერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| ექიმების მიერ: | | **დილით:** |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და ... | **სპექტიორი გ. მ.** . . . | 8½—9½ ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** . . . | 10—11 ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** . . . | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. კ.** . . . . . | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** . . . | 12½—1½ ს. |
| სადოსტაქრო, ქირურგ. სნეულებანი | **გრიგორიანი ა. ი.** . . . | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** . . . | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** . . . | 9½—10½ ს. |
| საშარდე და ვენერიული სნეულ. | **გრიგორიანი ა. ი.** . . . | 11—12 ს. |
| საქალო სნეულებანი და სამშობ. | ექ.-ქალ. **საყვარელიძე დ. გ.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** . . . | 12½—1½ ს. |
| სნეულებ. ყურის, ყელის და ცხვ. | **შტრეიხერი მ. ა.** . . . . | 12—12½ ს. |
| ცული სნეული და კანის სნეულ. | **შაპელნიკოვი გ. ი.** . . . | 1½—2½ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 58

# ძმ. საფარიანცი და ტერ-სააკოვი

# პარიზული მაღაზია

გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

მაღაზიასთან არსებულ

# სამაგალითო სახელოსნოში განაგრძობა

# შესაკვეთის მიღება

რუსეთისა და საზღვარგარეთის ქარხნების

საუკეთესო მასალებისა.

ითვისუფლი არჩევანი მკვეთილ სამუშაოსა, როგორც

**კაცებისა აგრეთვე ქალების მოდელებისა.**

სრულის პატივისცემით

**ძმ. საფარიანცი და ტერ-სააკოვი.**

ტელეფონი **№ 258.** 1525